# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 28 აგვისტო, 2010 წელი.

№161 (6527)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## დაუსვენებელი დამსვენებლები,

ანუ, ძველი დროისგან განსხვავებით, ვინ „რა ფერად“ ③ ისვენებს შავი ზღვის ნაპირას





## ნინო ბურჯანაძეს მართლა ⑤ ეპრეზიდენტება?

ИЗВЕСТИЯ



## ჩოხოსნებს ② ისეთი პირი უჩანთ, რომ ლაშა ბუღაძესაც „გააჩოხოსნებენ“

## ქართველების პროტესტი, დასავლეთის „შეშფოთება“ და... ქარავანი კი მიდის ④

## რას ნიშნავს აზერბაიჯანთან კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნა? ⑤









⑧

## როცა ბრიყვნი ბრძენს ასამართლებენ

## ბედის მაძიებელი ირლანდიელი ბრიდას თავგადასავალს გვიყვება კოელიო ⑨









⑪

## ჩერჩილი ხელისუფლების ალმასვლაში შეიძლება რუს ჯაშუშს უნდა უმადლოდეს

## „ვარდების რევოლუციის“ ნანგრევებში მოყოლილი კაცის ამბავი





⑦





## პოეტი, ⑥ რომელმაც წლები მოთიბა, როგორც ბალახი და „აიკიდა ზურგზე ზვინებად“

ამჟღავნებდ გეხმაურებით!

# ყველაფერს აქვს საზღვარი, თვით თვალსაზრისსაც კი!

## ღია წერილი „მწერალ" ლაშა ბულაძეს


თვალსაზრისი

მიყვარს - არ მიყვარს

ლაშა ბულაძე, მწერალი

თუ გახსოვთ, ლუის ბუნუელს აქვს ასეთი ჩანართი თავის შესანიშნავ მოგონებებში („ჩემი ბოლო ამოსუნთქვა"): რა მიყვარს-რა არ მიყვარს. სიურრეალისტების თამაში ყოფილა – თითო-თითო აბზაცში აწყობდნენ მათთვის საყვარელ თუ საძულველ თემებს, ჟანრებს, ადამიანებს, საკვებს და ა. შ. და ბუნუელსაც ეს თამაში გაუხსენებია თავისი მოგონებების წერისას. მოგვიანებით ქართულ ლიტერატურაშიც გაგრძელდა ამგვარი თამაში – მწერალმა ზაალ სამადაშვილმა თავის ორ მოთხრობაში („სიურრეალისტთა ძველი თამაშის გახსენება" და „სიურრეალისტთა ძველი თამაშის გაგრძელება") აღადგინა ბრეტონ-ბუნუელ-დალის და სხვათა ტრადიცია და მკითხველებს კიდევ ერთხელ შეახსენა „ანდალუსიელი ძაღლის" ავტორების თითქოსდა უცნაური, საინტერესო (და, გარკვეული თვალსაზრისით, ბრძნული და მცირედ თერაპიული) ოინები.

ხოდა, მოდით, ახლა ჩვენც მივბაძოთ სიურრეალისტებს (თუნდაც მხოლოდ ამაში) და ჩვენ-ჩვენი „სიები" შევქმნათ („შავ სიებს", ღმერთმა დაგვიფაროს, ნამდვილად არ ვგულისხმობ). ვნახოთ, აბა, რა გამოვა. დღეს მე დავიწყებ.

მაშ, ასე – რა არ მიყვარს:

პრეზიდენტ სააკაშვილის ნამოცდენები (აქტუალურია!). აგრესიული ქალები. აგრესიული მამაკაცები. ხეპრე და ჯიუტი ადამიანები. სოკოს სუპი. 1992-93-94 წლები. ქობულეთის ცენტრალური ქუჩა. ქართველების შესრულებული რუსული რომანსები. ბუტია, უჰუმორო ხალხი. კობზონი და [illegible]. XX საუკუნის საბჭოური ოცდაათიანი წლები. უილიამ ბეროუზი. კინოფილმი „ბედის ირონია". ამ ფილმის მომლოდინე ხალხი. რომანი „დოქტორი ჟივაგო". ჰოკეი. თვითმფრინავის დაშვების პროცესი. ის ადამიანები, თვალებდახუჭულები, თავის ქანქარით რომ უსმენენ ჯაზურ კომპოზიციებს. შეიძლება ითქვას, ზოგადად, ჯაზიც. ჩოხოსნები. მომლოცველებად ქცეული კომკავშირლები. ქართული საინფორმაციო გამოშვებები. პანაშვიდები (ამას იმიტომ ვწერ, რომ ვიცი – არსებობს ხალხი, ვისაც უყვარს პანაშვიდზე სიარული). საშინელებათა ფილმები. ვესტერნები. მიქელანჯელო ანტონიონის სოც-აქტუალური კინემატოგრაფი. სვეტების წერა. პანთეონები. ხაში. ლიფტები. ცეკვები სპექტაკლებში. მდუმარე ადამიანები. კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ქალები. თამბაქოს მწეველნი. ქართული ისტორიული რომანები. ორგზის გადაკოცნა. ტაქსისტების პოლიტოლოგია. მდაბალი ხუმრობა. „სტერილური" ჰუმორი. წიგნის ქურდები. და საერთოდ – ქურდბაცაცობა. სიტყვები: „რამეთუ", „გაამოთ". ხალხი, რომელიც რუსულ ან ინგლისურ სიტყვებს თხრის თავის საუბარში. კატები. მავანის მთქნარება, როცა ვლაპარაკობ.

აქ შევჩერდეთ. მგონი, საკმარისია.

ახლა – რა მიყვარს:

როცა მავიწყდება პრეზიდენტი სააკაშვილი და ყველა სხვა პოლიტიკოსი. ე. შევარდნაძის სიტყვები: „კულტურა გადაარჩენს ერს!". [illegible]. ექიმთან მისვლა. სხვისი პირადი წერილების კითხვა. მწერლების მიერ მწერლებზე დაწერილი ტექსტები. ზალცბურგი (არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც). კლასიკური მუსიკა. კეთილგანწყობილი გოგოები. დაკვირვებული ხალხი. მოლიერი. ეჟენ იონესკო. ადეკვატური მიტინგები. ქართული პოლიფონია. გაბოს რომანები. თომას მანის „რომანი რომანის შესახებ". ძველი ბერძნები. ტრანკვილიუსი – კეისართა ამბები. ასლან აბაშიძის გაქცევა. ილია ჭავჭავაძის მოთხრობები. ჯავახიშვილის მოთხრობები. კლდიაშვილი. აკაკი წერეთლის გაბურძგნული თმა-წვერი. ცივი კატლეტი. თვითმფრინავის დაფრენა. ბუნუელის „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი". გოეთეს განრიგი. რიჰარდ ვაგნერის ეგოცენტრიზმი. საწყალი ქართველი მეფეები. შარდენის მემუარები. ლიოსას „დეიდა ხულია და ვაი-მწერალი". სვეტების წერა. არამწეველები. სიმსუქნისგან შეწუხებული ადამიანები. თუნდაც ყეყეჩი, მაგრამ ნიჭიერი ვოკალისტები. სიმშვიდე.

...ჯობს, აქ შევჩერდეთ. ახლა თქვენი ჯერია.

50 ლიბერალი · აგვისტო 2010 · №42

ბატონო ლაშა,

გერქვას მწერალი და პრეტენზიაც გქონდეს, ხშირად ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ავკარგიანობის დამდგენი პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის ან კომისიის თავმჯდომარეობას იბრალებდე, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა (ქართულ რადიოში თქვენი მოღვაწეობა საუბრის სხვა თემაა). ჩვენ, ქვემორე ხელმომწერნი, მწერლები არ გახლავართ და ამდენად თავს უფლებას ვერ მივცემთ და შეიძლება კომპეტენციაც არ გვეყოს, შეგაფასოთ როგორც „მწერალი". სამაგიეროდ, იმის თქმის უფლება და, რაც მთავარია, ვალდებულება გაგვაჩნია, რომ რამდენიმე სიტყვით საზოგადოებას ნაწილობრივ მაინც გავაცნოთ თქვენი, ანუ „მწერალ" ლაშა ბულაძის პიროვნება და მოქალაქეობრივი მრწამსი.

ეს გადაწყვეტილება მიგვაღებინა ჟურნალ „ლიბერალის" 2010 წლის აგვისტოს (№42) ნომერში რუბრიკით – „თვალსაზრისი" გამოქვეყნებულმა თქვენმა მორიგმა „შედევრმა", რომლის სათაურია „მიყვარს – არ მიყვარს". ადამიანი თავისუფალია სიყვარულის ან სიძულვილის არჩევანში. ამის უფლება, რა თქმა უნდა, თქვენც გაქვთ, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საკუთარი აზრის გამოთქმისას სერიოზული დაფიქრება გმართებთ. თქვენ ხაზგასმით დაადასტურეთ, რომ ბევრ სხვა რამესთან ერთად არ გიყვართ „ქართული ისტორიული რომანები", „ჩოხოსნები", „პანთეონები", „ქართველების მიერ შესრულებული რუსული რომანსები" და სხვა. სამაგიეროდ ძალიან გიყვართ „ექიმებთან მისვლა", „სხვისი პირადი წერილების კითხვა", „ადეკვატური მიტინგები" და ა. შ. თურმე, „სვეტების წერა" (გაუგებარია რაზეა ლაპარაკი), კიდეც გიყვართ და კიდეც არ გიყვართ.


ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, ალ. აბაშელი

ჩვენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები, ჩვენი ქვეყნის წინაშე დამნაშავეებად ვგრძნობთ თავს, რათა დროულად არ გაგებინეთ პასუხი იმისთვის, რომ ქორწინების ღამეს „ლოგინში შეუძვერით" თამარ მეფეს... საგანგებოდ უნდა გამოვხმაურებოდით თქვენს „პოპულარულ" ნაწარმოებში – „ოქროს ხანა" მიმოფანტულ ბილწსიტყვაობისა და უნიკალური ქართული ენის დამახინჯების ფაქტებს.

კიდევ ბევრ რამეზე დავხუჭეთ თვალი იმის იმედით, რომ ახალგაზრდა კაცია და იქნებ დაღვინდესო. საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ მწარედ შევცდით!

დავუბრუნდეთ თემას თქვენი სიყვარულისა და სიძულვილის თაობაზე. თქვენ შეიძლება გიყვარდეთ ან არ გიყვარდეთ რომელიმე ერთი ან რამდენიც გნებავთ ჩოხოსანი, მაგრამ ზოგადად ჩოხოსნების ინსტიტუტის არსიყვარულის ასეთი ფორმით გამოხატვის უფლება არა გაქვთ. ნუთუ არ გახსოვთ, რომ თავის დროზე ქართველ ჩოხოსანთა მოძრაობის სათავეებთან იდგნენ კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, პავლე ინგოროყვა და ერის სხვა ღირსეული შვილები. დარწმუნებული ვართ, თქვენ ისიც არ იცით, რომ ქართველ ჩოხოსანთა საპატიო წევრები ბრძანდებიან ჩვენი ცოცხალი კლასიკოსები ჭაბუა ამირეჯიბი და რეზო ჩხეიძე. გვაინტერესებს, რომელიმე მათგანზე აცილება ხომ არა გაქვთ?

რა თქმა უნდა, თქვენ წაკითხული არა გაქვთ ჩოხოსანთა ფიცი, სადაც თეთრზე შავად წერია:

„მწამს ღმერთი და ვაღიარებ ათ მცნებას.

ვარ საქართველოს შვილი, ვიცავ სამშობლოს და ვემსახურები ღვთის საქმეს.

პატივს მივაგებ ჩვენს დიდ წინაპრებს და ვლოცულობ მათთვის.

ვაღიარებ, რომ მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახი არის ერის და ქვეყნის სიძლიერის საფუძველი.

აღვზრდი ჩემს შვილებს სულიერი, ეროვნული და ზნეობრივი ღირებულებების დამცველად.

ვიშრომებ და ვიღვაწებ ერთიანი, ძლიერი ქართული სახელმწიფოსთვის.

ღვთის მადლით, მჯერა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მომავლისა".

დარწმუნებული ვართ, ალბათ, ერთხელაც არ ჩაგვარდნიათ ხელში ჩვენი ყოველკვარტალური ჟურნალის „რაინდის" რომელიმე ნომერი, რომ თვალი მაინც გადაგევლოთ ჩოხოსანთა დასის მიერ ამა თუ იმ დროის მონაკვეთში ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალისთვის, რაც ქრონიკის სახით დართული აქვს ჟურნალის ნებისმიერ ნომერს. ობიექტური და ნეიტრალური პიროვნებებისგან ბევრჯერ გვსმენია, ანალოგიური ღონისძიებების ჩატარებას სამინისტროც კი ვერ მოახერხებდაო.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ საამაყოდ ისიც გვეყოფა, რომ ჩვენს მოძრაობას ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის სახელწოდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დაარქვა.

სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც ჩვენ მოგვწონს და არც ამ ახირებას ჩაგითვლით ორიგინალობაში, როცა ამბობთ: „ექიმებთან სიარული მიყვარსო", საკითხის ბოლომდე გარკვევისთვის იქნებ გვითხრათ, სექსოპათოლოგის გარდა, კიდევ რომელი პროფილის ექიმთან სიარული „გისწორდებათ"? ჩვენში დარჩეს, ლაშა, და მაინცდამაინც კაცური მოქმედება არც „სხვისი პირადი წერილების კითხვის სიყვარულია".

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვერ გავიგეთ, გიყვართ თუ არ გიყვართ „სვეტების წერა".

ერთი სიტყვით, ლაშა ბატონო, თუ თქვენს თავს მწერალს უწოდებთ, კეთილი და პატიოსანი. ეს თქვენი საქმეა.

*ქართველ ჩოხოსანთა სახელით:*

**ვაჟა ავალიშვილი,**
**ანზორ ბაბუხადია,**
**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**ბადრი გვილავა,**
**ჯუმბერ ლეჟავა,**
**შმაგი საყვარელიძე,**
**ზაალ სიხარულიძე,**
**გივი შავგულიძე.**

საგანგებო სიტუაცია

# რუსეთის მცდელობა კვლავ უშედეგოდ დამთავრდა

**საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებიდან 2 წლისთავთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ პოლიტიკაზე საუბრობს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რუსეთი მიზანმიმართულად ატარებდა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს დაკნინება და დეზინტეგრაცია, ხოლო შემდგომ რუსეთის ნეოიმპერიალისტური ამბიციებისადმი სრული დამორჩილება.**

– საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირების შემდეგ, მის მიერვე შექმნილი მარიონეტული რეჟიმების ბანდიტურ დაჯგუფებებთან ერთად, რუსეთმა არაერთგზის განახორციელა ეთნიკური წმენდა საქართველოს ტერიტორიაზე. ვერ მიაღწია რა დასახულ მიზნებს, 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთმა დაიწყო სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო 2008 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს განუყოფელი ნაწილების სამხედრო ოკუპაციისა და ეთნიკური წმენდის კიდევ ერთი ტალღის შემდეგ, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების უხეში დარღვევით აღიარა მის მიერვე შექმნილი საოკუპაციო რეჟიმების ე.წ. „დამოუკიდებლობა".

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთი დღემდე აგრძელებს დანაშაულებრივ ქმედებებს, კერძოდ ახორციელებს ამ ტერიტორიების მილიტარიზაციას, ეკონომიკურ ექსპანსიას, კულტურული მემკვიდრეობის განადგურებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების მითვისების მტაცებლურ პოლიტიკას, – ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ განვლილმა ორმა წელიწადმა ნათლად აჩვენა, რომ კრემლის მცდელობა დიპლომატიური და არადიპლომატიური მეთოდებით, მათ შორის ფინანსური მოსყიდვით, დაეკანონებინა სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ძალადობრივი ცვლილება, სამხედრო ოკუპაცია და ეთნიკური წმენდა, წარუმატებლად დამთავრდა. საერთაშორისო თანამეგობრობამ არ დაუშვა დანაშაულის დაკანონება.

–კრემლის აგრესიულმა პოლიტიკამ ჩიხში შეიყვანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, გამოიწვია დესტაბილიზაცია მთლიანად კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში და საფრთხე შეუქმნა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის საფუძვლებს.

რუსეთის ფედერაციას მოუწევს საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, საერთაშორისო სამართლის პატივისცემა და საქართველოს ტერიტორიის სრული დეოკუპაცია, – ნათქვამია განცხადებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მზედაკრულის ჩანაწერები

# დაუსვენებელი დამსვენებელი

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველთა გარკვეული ნაწილი სათაურის წაკითხვის შემდეგ, ტუჩს აიბზუებს, კომუნისტების დროს ნაყიდი წიგნების ჩეხურ თაროებს გახედავს და ცალი თვალით ჰერმან ჰესეს ყვითელყდიან გამოცემას დაუწყებს ძებნას, მაგრამ მინდა წინასწარ დაგამშვიდოთ. ამ ჩემს ნაშრომს არავითარი კავშირი არა აქვს არც ჰესეს, არც კნუტ ჰამსუნის და არც ალექსეი ტოლსტოის იმ გმირებთან, რომელთა დრამატული ისტორიები ასე ვთქვათ დაძაბული შრომისგან დასვენების პერიოდში ვითარდებოდნენ და სხვადასხვა ასაკში, ჩვენში სხვადასხვაგვარ რეაქციას იწვევდნენ.

ის, რასაც გთავაზობთ არც მოთხრობაა, არც ნოველა და არც პიესა. მე მას უბრალოდ ესე ვუწოდე.

რატომ ესეი? იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჯერ ერთი არ ვიცი პროზის ამ მიმართულების მეცნიერული განმარტება, და მეორეც, ცოტა არ იყოს „მარიაჟულად" ჟღერს.

ისე ძალიან გთხოვთ, თუ ვინმე ადამიანურ ენაზე ამიხსნის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ესეი", ანუ არ გამოიყენებს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა მაგალითად **„ესეი ეს არის ყოველგვარი არსებული სუბსტანციებისგან გადახვევა, ანუ ფსიქოლოგიურ ასპექტში ჩაღრმავებული ავტორისეული ხედვა, რომლითაც ხდება არსებული სტაგნაციის გამოხატვის მძაფრი ფორმების კონსტატაცია",** დიდი მადლობელი დავრჩებით.

არადა პრინციპში რასაც მე გთავაზობთ, არის უბრალო კვლევა, ბათუმში ჩასული ქართველი დამსვენებლების შესახებ. მათი ცხოვრების იმ წესის მცირე ანალიზი, რომელიც ზღვის პირას საშუალოდ ათდღიანი ყოფნის პერიოდით, მთელს მათს ყოფას ხელისგულზე გვიშლის და საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს ძალიან ბევრი ქართველი მოქალაქის ფსიქოლოგიურ წყობაზე.

კარგით, ამ ასე ვთქვათ მეცნიერულ წიაღსვლებს თავი დავანებოთ და საქმეზე გადავიდეთ.

ბათუმი.

ქათქათა ბათუმი, რომელიც მართლაც ძალიან ლამაზია (აღარ გვინდა ზღვის ტალღების ნაპირთან ლამუნის, თოლიების ჭყივილის, და პორტში მდგარი თეთრი ხომალდების რომანტიკული აღწერა. აღარ გვინდა, იმიტომ რომ მრავალჯერ წაგიკითხავთ და მეც ახალს ვერაფერს გეტყვითძ. ამიტომ უბრალოდ ვიტყვი, რომ ბათუმი ძალიან ლამაზია, ძალიან კარგია, და ძალიან მიყვარს.

მიყვარს იმიტომ, რომ როცა ჩავდივარ, ყველა კაფეში იმ დურსუნს ვპოულობ, რომელიც მთელი ცხოვრება ყავის ჭიქაში იხედება და ვერაფერს ხედავს, მიყვარს იმიტომ, რომ დარსაც და ავდარსაც ზეციურ მანანასავით ელოდები და წვიმს, თუ მზეა მაინც წუწუნებ. ოღონდ წუწუნებ ხმამაღლა. გულში კი კმაყოფილი ხარ.

გიხარია წვიმა, იმიტომ, რომ წვიმის დროს ზიხარ ლურჯი ტენტით გადახურულ ქუჩის რესტორანში, წრუპავ ლუდს, უყურებ ზღვას და მარტო ხარ.

გიხარია მზე იმიტომ, რომ გადიხარ პლაჟზე. ქვებზე აფენ პირსახოცს, ზედ აგდებ გადაჭრილ ჯინსებს, მეგობრის შვილისგან ნაჩუქარ წითელ მაისურს. ერთს ჩაყვინთავ ზღვაში, შემდეგ ჯდები იქვე კაფეში, წრუპავ ლუდს, უყურებ ზღვას და მარტო ხარ.

ირგვლივ კი უამრავი ხალხია. უამრავი და ცოტა უფრო მეტი.

ერთი შეხედვით, მათ არაფერი აქვთ საერთო. აბსოლუტურად არაფერი, არადა აქვთ.



ქართველი დამსვენებლების საკმაოდ უმრავლესობის გამაერთიანებელი ასპექტი, მათი უპირატესობის გამოხატვის მცდელობა, იმ უპირატესობისა, რომელიც იმ მოქალაქეებთან მიმართებაში, რომლებმაც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, ვერ მოახერხეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილებიდან გასვლა,

კიდევ ერთხელ ვიმეორებ ფრაზას, რომელიც დღევანდელობისთვის საკმაოდ მისაღებია, ანუ ვამბობ, რომ ქართული დღევანდელობის მთავარი მოტივი არის საკუთარი უაზრო ყოფის, სხვის უაზრო ყოფასთან მიმართებაში – წინ წამოწევა.

ეს არის ქართული ბუნების, ქართული არსის მთავარი მამოძრავებელი ძალა.

არ გჯერათ? მაშინ გაიხსენეთ ის პოლიტიკოსები, რომელთა იუსტიციის სამინისტროში დამტკიცებული წესდებები, აბსოლუტურად ერთი და იგივეა, მაგრამ... გაიხსენეთ ის ე. წ. „ცნობადი სახეები", რომლებიც... კარგით რა, თქვენ არ იცით? მოკლედ რომ ვთქვა, დღევანდელ უამრავზე ცოტა მეტი ქართველი დამსვენებლის ფენომენი.

წარმატებული ბიოლოგების, მაგალითად, ჩარლ ლინეს, ან ჩარლ დარკინის ენით რომ ვთქვათ (მიჩურინი ამ შემთხვევაში არ გამოდგებაძ, მხოლოდ სამ ჯგუფად (თუ კლასადძ იყოფა:

მწოლიარე, მოსიარულე და მჯდომარე (როგორ ჰგავს ეს ცნობილ ქართულ სადღეგრძელოს არა?ძ.

მოდით, სათითაოდ განვიხილოთ ყველა მათგანი.

მაშ ასე –

### ჯგუფი 1.

### მწოლიარენი

ეს ჯგუფი საკმაოდ მოცულობითია და თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა.

პირველ ქვეჯგუფში შედიან ოჯახები, 0-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებით. მათი ცხოვრების წესი ზღვაზე დასვენების დღეებში არ იცვლება. ჩვეულებისამებრ დადიან ბაზარში, ყიდულობენ კარტოფილს, ბადრიჯანს და სარეცხ საშუალებებს. ქალბატონები ამზადებენ საჭმელს, რეცხავენ სარეცხს, ტუქსავენ ცელქ ბავშვებს. მამაკაცები დილაობით პლაჟზე წვანან, დღისით კი რეცხავენ ავტომანქანებს, ამოწმებენ ზეთს და „კალოტკების" მდგომარეობას. საღამოთი კი თავიანთი ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან ერთად სვამენ ღვინოს ან ლუდს.

მეორე ჯგუფში შედიან გოგონები 14-დან 35 წლამდე. ისინი მთელი დღის განმავლობაში წვანან პლაჟზე და ირუჯებიან. ირუჯებიან საოცარი გულმოდგინებით. ხანდახან გადიან ყველაზე ახლომდებარე კაფეში და შემდეგ ისევ ირუჯებიან. შიგადაშიგ იღებენ ფოტოსურათებსაც.

### ჯგუფი №2.

### მოსიარულენი.

ეს ჯგუფი თავის მხრივ იყოფა სამ ქვეჯგუფად.

**პირველ ქვეჯგუფში** შედიან ავტომობილით მოსიარულეები. ეს ქვეჯგუფი საკმაოდ საინტერესო ფორმაციას წარმოადგენს ქართულ რეალობაში. ისინი გარეგნულად ხასიათდებიან სხეულის მარცხენა ნაწილის გარუჯვით. არა, თუ საჭესთან მჯდომ ხალხს მხოლოდ მარცხენა ხელის იდაყვიდან მტევნამდე მონაკვეთი აქვთ გარუჯული, მათ „მზიანი ზოლი" შუბლის ნახევრიდან ეწყებათ.

ამ ქვეჯგუფის წევრებს ახასიათებთ მობილურ ტელეფონებში ნათქვამი შემდეგი ფრაზები: – სად ხარ? – აუუ, ჩაქვში, კაი, მე ახლა კვარიათში ვარ და ერთ საათში მანდ ვიქნები.

იგივე ფრაზა მეორდება ჩაქვში, იმ აბონენტთან შეხვედრიდან 0,5 საათის შემდეგ – აუუ, სადა ხარ? გონიოში? კაი, 0,5 საათში მანდა ვარ.

და ასე კვარიათიდან ჩაქვამდე, გონიოდან ქობულეთამდე, ბათუმიდან ურეკამდე. სარფიდან ბობოყვათამდე. მოძრაობენ, მანქანიდან ფაქტობრივად თითქმის არ გადმოდიან. ამიტომ მათი გარუჯვის პალიტრა, შუბლის მარცხენა ნაწილიდან იწყება და მარცხენა მუხლის ქვემოთ მთავრდება. ჩემთვის უცნობი დარჩა, თუ სად ათევენ ღამეს ამ ქვეჯგუფის წარმომადგენლები, რადგანაც შებინდების შემდეგ დილამდე ისინი არ ჩანან. ამასაც აქვს თავისი მიზეზი. ისინი შებინდების შემდეგ არავის არ სჭირდებათ. პრინციპში არც მანამდე არიან რაიმე დატვირთვის მატარებელნი, მაგრამ 8-საათის შემდეგ ხომ საერთოდ უაზროა მათთან ურთიერთობა. ამიტომ ისინი დილამდე ძრებიან.

**მეორე ქვეჯგუფი. მოსიარულე გოგონები.**

ისინი თავიანთ „მუდმივი" საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უფრო მტკვრის მარჯვენა სანაპიროს უკიდურეს მარცხენა ან მარჯვენა უბნებს მიეკუთვნებიან. დადიან ორ-ორნი, სამ-სამნი. სამზე მეტი ძალიან იშვიათად გვხვდება. დადიან და იღებენ ფოტოებს. იღებენ ყველგან. ყველა პალმასთან, ყველა ღირსშესანიშნაობასთან, ყველა სომეხთან, ყველა გემთან. იღებენ ფოტოებს ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ კაფესთან (თუ მოასწრეს, კაფეშიცძ, თუ ვიმსჯელებთ სურათის დაბეჭდვის ფასებიდან და იმ რაოდენობიდან, რასაც ამ ქვეჯგუფის წევრები „ასრულებენ", თამამად შეგიძლია გამოვიტანოთ დასკვნა – ეს ფოტოები განთავსდება ე. წ. სოციალურ საიტზე „ოდნოკლასნიკები", სტატუსით – „აუ რა მაგარი იკო", ან „რა ვიგიჯეთ იმ დღეს!"

მეორე ჯგუფის **მესამე ქვეჯგუფს** შეადგენენ 16-დან 38-წლამდე ახალგაზრდა მამაკაცები.

მათი უმრავლესობა თბილისელი არ არის და ბათუმში შავი მაისურებით, შავი შორტებით და დაბალყელიანი, შავი „ნაიკის" ჩინური სპორტული ფეხსაცმელებით არიან წარმოდგენილნი.

ისინი მთელი დღე და საღამო დადიან. დადიან და ეძებენ. ეძებენ იმ ნანატრ ნიშანს, რომელსაც ვინმე ჩამოსული ასული მისცემს. ეძებენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან პოულობენ კიდეც. სამაგიეროდ მსგავს „ნიშანს" ვერ პოულობენ ის თბილისელი ახალგაზრდები, რომლებიც ასევე ბათუმის ბულვარში დადიან, აცვიათ კოჭებზე ოდნავ მაღლა გადაჭრილი ჯინსები, ყვითელი, კუბოკრული პერანგები და ერთმანეთში კომპიუტერული ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებზე საუბრობენ.

### ჯგუფი №3.

### მჯდომარენი

ამ ჯგუფის დასახასიათებლად, მინდა გამოვიყენო ვერმახტის პოლკოვნიკის ფონ შტაუფენბერგის ფრაზა: – **„ეს ხალხი ერთმანეთში ურევს პატივისცემას და პოპულარობას".**

დიახ, სწორედ მიხვდი ჩემო მკითხველო: №3 ჯგუფს ე. წ. პოპულარული, ანუ ცნობადი სახეები შეადგენენ.

ისინი პლაჟებზე, ბულვარში, კარუსელებთან არ გადიან. ან სასტუმროების აუზებზე ირუჯებიან (არ მესმის, რატომ უნდა ვიბანაო აუზში, როცა ზღვა იქვეა. თუ აუზში გინდა ყოფნა, „ლაგუნა-ვერე" ან „ბურევესტნიკი" თბილისში არ გქონდათძ? ან სადაც იქვე ახლომახლო სოფლებში ნათესავებთან არიან სტუმრად და მხოლოდ რაიმე „ტუსოვკის" დროს ჩნდებიან. ისინი ძირითადად სხედან. ისე „პლოტნად" სხედან, რომ...

ბუნებრივია, ამ ჯგუფებიდან ზოგიერთი წარმომადგენელი არ კმაყოფილდება თავისი კლასიფიკაციის დადგენის ნორმებით და იცვლის ადგილს, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ არ ღირს მათი გამოყოფა.

ახლა რაც შეგეხება შენ, ჩემო მკითხველო:

შენ ხომ ზემოთ ნახსენები ჰერმან ჰესესი არ იყოს, **„მარტოხელა მგელი ხარ"?** არც ერთ ჯგუფს არ მიეკუთვნები და ყველაზე უკეთესად ისვენებ!

**გია გაბრიჭიძე**

## ალიან-ჩალიანი

### დევნილებს არაჰუმანურად ეპყრობიან

**პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია, ხელისუფლების მხრიდან დევნილების მიმართ არაჰუმანური მოპყრობის გამო, მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს და უახლოეს დღეებში ანტიკრიზისული საბჭოს სხდომის გამართვასა და სხდომაზე პრემიერ-მინისტრის მიწვევას ითხოვს.**

**როგორც გუშინ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე დავითაიამ აღნიშნა, მას სურს პრემიერ-მინისტრისგან მოისმინოს რატომ არ ასრულებს მთავრობა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიას და რა არის მათ მიმართ არაჰუმანური მოპყრობის საფუძველი.**

**მისივე თქმით, ბოლო პერიოდში დევნილების მიმართ განხორციელებული ქმედებები არაჰუმანურ მოპყრობას ნიშნავს, რაც გაეროს დევნილთა კომისარიატის მიერ გავრცელებული განცხადებითაც დასტურდება.**

### აფხაზებს დღესასწაული ჩაუშხამდათ

**გუშინ ენგურჰესზე მომხდარი ავარიის გამო ოკუპირებულ აფხაზეთში დამოუკიდებლობის გამოცხადების 2 წლისთავისადმი მიძღვნილი ყველა ღონისძიება ჩაიშალა. აფხაზეთი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.**

**სოხუმის მერის ალიას ლაბახუას განცხადებით, ყველა საზეიმო ღონისძიების გაუქმების გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც აღიარების 2 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.**

ХО-ЭИВ-ЭБО

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# ქართველების პროტესტი, დასავლეთის „შეშფოთება" და... ქარავანი კი მიდის

**საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი უკვე მერამდენედ არღვევს საერთაშორისო ნორმებსა და ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებებს. ადრინდელ შეუსრულებელ დოკუმენტებს ახლებიც დაერთო.**

## ვაშაძის უწყების პროტესტი

**ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში, რფ-მ განაცხადა, რომ აპირებდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე – აფხაზეთში საზღვაო მიმოსვლის აღდგენას.** დანაქადნები რატომღაც გადაიდო, მაგრამ წელს, 17 აგვისტოს, დანაპირები მაინც



აღასრულა. ამით მან დაარღვია საზღვაო ნაოსნობის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია. დაირღვა საქართველოსა და რფ-ს შორის სამთავრობო დონეზე დადებული 1996 წლის 9 მარტის საზღვაო ნაოსნობის შესახებ მიღწეული შეთანხმების მეოთხე მუხლის მესამე პუნქტი და ამავე დოკუმენტის მეორე მუხლი.

რუსეთის მხრიდან დარღვევების შესახებ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ (IMO)ძ შესაბამისი ნოტით უკვე ამცნო ყველა წევრ ქვეყანას (მათ შორის რუსეთსძ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ ქმედებებით რუსეთი არ თვლის სავალდებულოდ საერთაშორისო საზოგადოებაში მიღებული ნორმების დაცვას.

## შეფასებები

**ნოდარ გიორგაძე, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი: „რუსეთმა ჯერ კიდევ შარშან ამცნო საერთაშორისო საზოგადოებას, რომ იგი აპირებდა საზღვაო მიმოსვლის გახსნას აფხაზეთთან. შემდეგ შეიცადა. დაელოდა შედეგებს.** დასავლეთის რეაქცია მხოლოდ „შეშფოთება" აღმოჩნდა, ჩვენი კი – დასავლელი პარტნიორების განცხადებათა ციტირება, ამიტომაც რუსეთმა დანაპირები საქმედ აქცია. ამით მან დაამტკიცა, რომ საჭიროდ არ თვლის საერთაშორისო სამართლის ყოვლად აღიარებული ნორმების დაცვას.

17 აგვისტოს რფ-ს მიერ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაასაჩივროს საერთაშორისო სასამართლოში. თუმცა ჯერჯერობით მსგავსის მცდელობაც კი არ შეინიშნება.

რაც შეეხება აფხაზეთში ჩასახლების საკითხს, ის ადვილად მოგვარებადია. მართალია, აფხაზეთის კანონმდებლობით უცხო ქვეყნის მოქალაქეს არა აქვს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლება, მაგრამ არსებობს რფ-სა და სეპარატისტების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და საზღვაო ძალების ოფიცრებსა და მათი ოჯახების წევრებს უფლება აქვთ, შეიძინონ აფხაზეთში უძრავი ქონება. ამის გამო რფ წარუდგენს აფხაზეთის მთავრობას სამხედრო მოსამსახურეთა ვრცელ სიას. ბაღაფშის მთავრობა ნამდვილად ვერ შეჰკადრებს თავის მფარველს სიების სისწორის გადამოწმებას და სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსით ათეულ ათასობით ხანძრისგან დაზარალებული ოჯახის ჩასახლდება".

ამ დროს კი ვარდოსნების ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კმაყოფილები არიან იმით, რომ დასავლეთის ქვეყნები მომხდარისა თუ მოსახდენის შესახებ შეშფოთებას ვერ მალავენ.

## ხანძრის გავლენა ჩვენზე

**არნახულმა ხანძარმა რუსეთი სერიოზულად დააზარალა. მართალია, ხელისუფლება მალავს გარდაცვლილთა რეალურ რაოდენობას, მაგრამ თვით რუსი ექსპერტების განმარტებით, ის ბევრად აღემატება ოფიციალურად გამოცხადებულს.** მსხვერპლს გარდა დიდია მოწამლულთა რიცხვიც. უდიდესი ზარალი მიადგა ფლორასა და ფაუნას. განადგურდა ნათესები. დიდია დარტყმა ეკონომიკაზე. დაიწვა ათასობით სახლი, დაზარალებულებს ხელისუფლება დახმარებას ჰპირდება, უპირველესად დასახლების პრობლემების მოგვარებას.

იაროსლავსა და ნიჟნინოვგოროდის ხელისუფლება თავიანთ დაზარალებულებს, ცენტრალურ ხელისუფლებაზე დაყრდნობით, საცხოვრებელი პრობლემის მოგვარებას აფხაზეთში ჩასახლებით ჰპირდება, – წერს რუსული პრესა. აქვე იმასაც წერენ, რომ რამდენიმე ათეული ოჯახი რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს უკვე ჩაასახლეს. რუსული გაზეთები იმასაც იტყობინებიან, რომ აფხაზეთში ჩასახლების პერსპექტივა მიმზიდველია და ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა ის საკუთარი შემოსავლის წყაროდ აქციეს. ხანძრით დაზარალებულის სტატუსის მიღებისთვის ჩინოვნიკები 15-18 ათას დოლარს ითხოვენ. ჟურნალისტების ვარაუდით, მოთხოვნის გაზრდის პარალელურად აუცილებლად გაიზრდება „სტავკაც".

პრესის ზოგიერთი გამოცემა აფხაზეთის ხელისუფლების მაღალი რანგის ხელმძღვანელებსაც დაუკავშირდა. ისინი აცხადებენ, რომ რფ-ს ხელისუფლებას ხანძრით დაზარალებულთა ჩასახლება ოფიციალურად არ უთხოვია.

**ზაზა ბილიხოძე**

სამეგრელოს მხარე

## ზუგდიდელი დევნილები გააქტიურდნენ

**ზუგდიდში განსახლებულმა დევნილებმა 7-წლიანი დუმილი დაარღვიეს და ხმა ამოიღეს გაუსაძლისი პირობების გამო, ამიტომაც მიადგნენ ისინი ზუგდიდში განთავსებულ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობას.** „7 წელიწადია ხმა არ ამოგვიღია, ვუცადეთ, ვუცადეთ, მაგრამ, ჩვენთვის სასიკეთო არაფერი გაკეთებულა, ყველაფერზე ფასები გაიზარდა, რატომ არ იზრდება ჩვენი შემწეობის თანხები? რატომ ხდება ჯანმრთელობის პოლისების შერჩევით გაცემა? რატომ არ მიმდინარეობს ჩვენთვის განკუთვნილი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა? სად არის ჩვენთვის გამოყოფილი ფული? რატომ არ ჩამოდიან ჩვენთან შესახვედრად კობა სუბელიანი და გია ბარამია?" – ეს და კიდევ სხვა კითხვები დაუსვეს დევნილებმა ამ წარმომადგენლობის თანამშრომლებს და მათ ხელმძღვანელს თორნიკე კილანავას. დევნილებმა ისინი უმოქმედობაში დაადანაშაულეს.

„თქვენ ჩვენთან ერთად უნდა იყოთ, თქვენ ვერ ეტყვით სათქმელს სუბელიანს და ბარამიას, რადგან სამსახურს დაგატოვებინებენ, ამიტომაც გვიშუამდგომლეთ მათთან რომ ჩამობრძანდნენ ზუგდიდში და ჩვენს სათქმელს ჩვენ თვითონ ვეტყვით". – განუცხადეს დევნილებმა თორნიკე კილანავას, რომელიც „ოლიმპიური სიმშვიდით" ისმენდა დევნილთა მოთხოვნებს, თუმცა ემოციური აღმოჩნდა მისი მოადგილე გელა კილასონია, მასსა და დევნილებს შორის ხმამაღალი საუბარი კინაღამ ჩხუბში გადაიზარდა!

თორნიკე კილანავამ დევნილებს ყოველმხრივ დახმარება აღუთქვა, თუმცა ისიც თქვა, რომ მათი შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია. „ჩვენი ბიუჯეტი ყოველწლიურად მცირდება. ხდება დევნილების დიფერენციაციაც, ჩვენ არც ტენდერებში, არც დაგეგმარებასა და დაპროექტებაში, არცერთ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე არ გვიწვევენ. არც დევნილთა შორის იგრძნობა აქტიურობა, ამიტომაც, ერთად უნდა დავდგეთ, რომ ანგარიშგასაწევი ძალა ვიყოთ" – განუცხადა დევნილებს თორნიკე კილანავამ.



დევნილებმა კატეგორიულად მოითხოვეს კობა სუბელიანისა და გია ბარამიას (და არა მათი მოადგილეებისძ ჩამოსვლა ზუგდიდში. „თუ 10 დღეში ისინი ზუგდიდში არ ჩამოვლენ, ჩვენ თვითონ ჩავაკითხავთ თბილისში", – დაიმუქრნენ დევნილები.

## დევნილებს ფოცხო-ეწერში შუქი არა აქვთ

**წალენჯიხის რაიონში, ენგურჰესის თაღოვან კაშხალთან მდებარე სოფელი ფოცხო-ეწერი ამ ბოლო ხანს ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ერთ დროს მიტოვებული ეს ადგილი ახლა დევნილებით ივსება, ისინი წალენჯიხის რაიონში ახლახან განათავსეს. სასიამოვნოა, რომ დევნილებთან ერთად ფოცხოს ძველი, ადგილობრივი მკვიდრნიც უბრუნდებიან.**

დევნილები ფოცხოს სიშორის გამო უჩივიან, რადგან, მართლაც საკმაოდ მოშორებულნი არიან წალენჯიხასა და ზუგდიდს. 15 კორპუსი, რომლებიც შესანიშნავად არის გარემონტებული, განკუთვნილია 387 ოჯახზე. ამჟამად იქ 115 ოჯახი ცხოვრობს. ხელისუფლებამ, რომელმაც მოახერხა უმოკლეს ვადაში ეს დანგრეული და გაჩანაგებული კორპუსები მაღალ დონეზე გაერემონტებინა, რატომღაც ვერ მოაგვარა დევნილებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების საკითხი.

მთავარი პრობლემა ფოცხოში ეს არის უშუქობა, რადგან თურმე ვერა და ვერ გადაწყდა გამრიცხველიანობის საკითხი. დღემდე კამათობენ, თუ როგორი მრიცხველი – კომუნიალური თუ ინდივიდუალური დაუყენონ დევნილებს!

სირცხვილია, ხელისუფალნო, უშუქოდ როგორ უნდა გაძლონ დევნილებმა?

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

ალიან-ჩალიანი

## უკრაინაში ქართველი ბიზნესმენის ქალიშვილი გაიტაცეს

**უკრაინაში ქართველი ბიზნესმენის ვანო ჩხარტიშვილის შვილი ნათია ჩხარტიშვილი გაიტაცეს. უკრაინული მედიის ცნობით, ნათია ჩხარტიშვილი ბორისპოლის აეროპორტში უკრაინის უსაფრთხოების სამსახურისა და ტარიელ ვასაძის დაცვამ გაიტაცა.**

**ასევე, ცნობილი ხდება, რომ ნათია ჩხარტიშვილი კიევი-თბილისის თვითმფრინავთან მაშინ გაიტაცეს, როდესაც იგი თავის საქმროსთან შიდა ქართლის პოლიციის ხელმძღვანელთან დავით ტაბუცაძესთან იმყოფებოდა.**

**გამოცემა ავრცელებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ნათია ჩხარტიშვილის გატაცების ორგანიზატორია მისი მამა ვანო ჩხარტიშვილი, რომელიც ეწინააღმდეგება მისი შვილისა და დავით ტაბუცაძის დაქორწინებას.**

**წყვილი ოდესაში ისვენებდა, როდესაც მათ გაიგეს, რომ ვანო ჩხარტიშვილის „ხალხი" მათ ეძებდა. ისინი ოდესიდან ბორისპოლში გადმოფრინდნენ, სადაც ტაბუცაძემ დახმარება უკრაინელ კოლეგებს სთხოვა, მაგრამ აეროპორტში ტარიელ ვასაძის (იულია ტიმოშენკოს ბლოკის წევრი) უკრაინის უსაფრთხოების თანამშრომლებმა მათ გასასვლელი ჩაუკეტეს.**

**როგორც ტაბუცაძე ამტკიცებს, უკრაინის უსაფრთხების სამსახურის უფროსმა, ვალერი ხოროშოვსკიმ დაურეკა ქვეყნის შს მინისტრს ანატოლი მოგილიევს, რათა მას ტაბუცაძის დასახმარებლად აეროპორტში მისული მილიციელები უკან გაეწვია.**

**თვითმფრინავამდე მისასვლელ გზაზე უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ნათია ჩხარტიშვილს წაართვეს პასპორტი და იქიდან ერთ-ერთი გვერდი ამოხიეს. ნათია ჩხარტიშვილთან კონტაქტი ვერც უკრაინაში საქართველოს ელჩმა გრიგოლ ქათამაძემ შეძლო. ნათია ჩხარტიშვილი ჯერ ტარიელ ვასაძის სახლში გადაიყვანეს ხოლო შემდგომ ლონდონში გაამგზავრეს, სადაც ამჟამად საქართველოს ექს-პარლამენტის წევრი ვანო ჩხარტიშვილი ცხოვრობს.**

## ათი ათასზე მეტი პატიმარი გვყოლია

**2010 წლის ექვს თვეში საქართველოში მსჯავრდებულთა რაოდენობა 10 ათას 32 შეადგინა. 2009 წელს კი მათი რაოდენობა 18 ათას 354 იყო.**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, ბოლო ათი წლის განმავლობაში მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა 2007 წელს დაფიქსირდა და 21 ათას 170 ერთეული მსჯავრდებული შეადგინა.**

**მსჯავრდებულთა მიმართ, სასჯელის ღონისძიებების სტატისტიკა შემდეგი სახისაა; 2010 წლის ექვს თვეში თავისუფლება აღეკვეთა 4 ათას 785 პირს, პირობითი მსჯავრი დაეკისრა 4 ათას 610 პირს, ჯარიმა 619 პირს, გადაედო განაჩენის აღსრულება 3 პირს.**

**2009 წელს მსჯავრდებულთა მიმართ, განხორციელებული სასჯელის ღონისძიებების მიხედვით, თავისუფლება აღეკვეთა 8 ათას 384 პირს, პირობითი მსჯავრი დაედო 8 ათას 599 პირს, ჯარიმა დაეკისრა 1324 პირს, განაჩენის აღსრულება გადაედო 4 პირს, ხოლო სხვა სახის სასჯელმა 43 ერთეული შეადგინა.**

**პირობითი მსჯავრი ყველაზე მეტჯერ გამოყენებული იქნა 2008 წელს – 10 ათას 61 ერთეული, ყველაზე ნაკლებად კი ბოლო 10 წლის მონაცემების მიხედვით – 2001 წელს.**

**სასჯელად ჯარიმების გამოყენების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 2002 წელს – 2 ათას 394, ყველაზე დაბალი კი 2007 წელს – 828.**

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მქუხარე კონფედერაცია

**საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ოთხშაბათს გააკეთა, მოითხოვა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დაუყოვნებლივი განმარტება აზერბაიჯანთან კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით. სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადებას მხარი დაუჭირეს საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, კულტურის მოღვაწეებმა, ოფიციალურ ბაქოს კონფედერაციის შექმნის საკითხთან დაკავშირებით განცხადება არ გაუკეთებია**

შეგახსენებთ საკითხის წინაისტორიას. 20 ივლისს, როდესაც ბათუმში აზერბაიჯანის ხელმძღვანელს ილხამ ალიევს ხვდებოდა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა კონფედერაციულ ურთიერთობათა შექმნის აუცილებლობის შესახებ, ვინაიდან „საქართველო-აზერბაიჯანის კავშირურთიერთობები გადაიზარდა სტრატეგიულიდან რაღაც უფრო მეტში“. როდესაც იცნობ საქართველოს ლიდერს და კავკასიურ ზნე-ჩვეულებებსაც მთლიანად, შეიძლება ივარაუდო, ამ ნათქვამით მას სურდა ხაზი გაესვა თბილისსა და ბაქოს შორის კავშირისთვის და ესიამოვნებინა კიდეც სტუმრისთვის. მაგრამ მალე სააკაშვილმა გაიმეორა თავისი ბათუმის განცხადება მთავრობის სხდომაზე. ამ დღეებში კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ „ტექნიკურად საქართველომ უკვე მისცა თანხმობა აზერბაიჯანთან კონფედერაციის შექმნაზე“. „ამ ინიციატივის ფორმა დამოკიდებულია დიპლომატების მოლაპარაკებაზე, ეს დიპლომატიური მუშაობის საგანია... კონფედერაციის ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენს ურთიერთობათა განვითარების გეგმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მთელი რეგიონის განვითარებას, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კოოპერაცია ვითარდება მეტად ინტენსიურად“, – თქვა კალანდაძემ და აღნიშნა, რომ ამ სტადიაში „საკითხი შეეხება შემდგომი მოლაპარაკების სამართლებრივ ჩარჩოებს ამ საკითხის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით“.

პირველად განგაში ატეხეს, როგორც აღინიშნა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც მინისტრის მოადგილის ცნობას უწოდეს „უკიდურესად სახიფათო“. „კალანდაძემ განაცხადა, რომ ტექნიკური საკითხები კონფერენციის შესახებ უკვე გამოქვეყნდა. აბსოლუტურად გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება ტექნიკურ საკითხებში. გრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკური პრინციპის დონეზე მთავრობამ უკვე გადაწყვიტა ეს საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ უპასუხისმგებლო განცხადებებს შეუძლიათ გამოიწვიონ სიტუაციის გაუარესება ისედაც არასტაბილურ რეგიონში. საკითხის უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩვენ მოვითხოვთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გააკეთოს დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც შუქს მოჰფენს მთავრობის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს და მის განზრახვებს. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, გამოიჩინოს სიფხიზლე, რომ ერთ მშვენიერ დღეს არ აღმოვჩნდეთ სრულიად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები ნათქვამია, – სოციალურ-დემოკრატიული პარტიის განცხადებაში.

მიმდინარე ამბებმა რეზონანსი გამოიწვია უბრალო ხალხს შორისაც – ხალხი კითხულობს: საერთოდ რა ხდება და წყევლის... ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილ თანაშემწეს მეთიუ ბრაიზას, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით გახდა საქართველოს უბედურებათა მთავარი დამნაშავე. „ის სახელმწიფო კანცელარიიდან არ გამოდიოდა, გვპირდებოდა ათას რამეს, მიშიკო კი აგვისტოში ჩაიჭრა. ახლა მას ელჩად ნიშნავენ ბაქოში (ეს საკითხი შემოდგომაზე გადაწყდება)ძ, ბრაიზასთვის მარტო აზერბაიჯანი საკმარისი არ იქნება, ამიტომ ექაჩება იგი საქართველოს კონფედერაციაში“.

„იმედი მაქვს, რომ განცხადება კონფედერაციის შესახებ ბლეფია. ყოველ შემთხვევაში, ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ამჟამად განიხილება, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. თუ ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობს კონფედერაციის შესახებ, მაშინ ახალი ურთიერთობანი აზერბაიჯანთან საქართველოს დიდი ხიფათით ემუქრება“, – განაცხადა თბილისელმა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.

მისი სიტყვებით, კონფედერაციის იდეა აქტუალური იყო რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ მაშინ მისი რეალიზაცია ვერ მოხერხდა. „საერთოდ ისტორიულად სამხრეთ კავკასიის კონფედერაციული მოწყობა ყოველთვის იყო ნაკარნახევი და თავს მოხვეული გარედან – სპარსეთიდან, თურქეთიდან ან რუსეთიდან. მეტროპოლიისთვის ასე უფრო მოხერხებული იყო. როგორც კი გარედან ზემოქმედება სუსტდებოდა, კონფედერაცია იშლებოდა, მათ შორის ურთიერთობათა გარკვევამდეც კი“, – თქვა ზაქარეიშვილმა.

მისმა გერმანელმა კოლეგამ ალექსანდრ რარმა დაადასტურა, რომ 90-იანი წლების ბოლოს დასავლეთი ყოველნაირად ცდილობდა გაეტანა გეგმა საქართველოს კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. „საქართველოს დაშლის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა, საერთოდ არ იყო, მაგრამ თბილისი ამას არ დათანხმდა. ამჟამად სამხრეთ კავკასიაში დიდი კონფედერაციის შექმნის იდეა განიხილება მხოლოდ აკადემიურ წრეებში – რეგიონში იმდენი დაპირისპირებაა, რომ პრაქტიკულად იგი განწირულია. ისედაც შეუძლებელია წარმოიდგინო ერთ სახელმწიფოში ქრისტიანული მართლმადიდებელი საქართველო, რომელიც ისწრაფვის დასავლური ღირებულებებისკენ, და აზერბაიჯანი, სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მუსლიმანია. მაშ რაშია საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციის შექმნის აზრი?“ – განაცხადა ალექსანდრ რარმა.

ამასვე კითხულობს ზაქარეიშვილიც: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველო გაიიოლებს შეღწევას აზერბაიჯანის ნახშირწყალბადის საბადოებთან. მაგრამ რა აინტერესებს აზერბაიჯანს საქართველოს გავლით ტრანზიტი? ეს ხომ ისედაც ასეა“.

მოსკოვის კარნეგის სამეცნიერო საბჭოს წევრი, პროფესორი ალექსეი მალაშენკო უფრო მოკლედ საუბრობს“: სააკაშვილის ინტეგრაციული აღტყინება თეატრალურ-საესტრადო პროვოკაციად წარმომიდგენია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი მას მხარი დაუჭირა. ნებისმიერი ალიანსის შექმნის დროს უნდა გქონდეს მიზანი: შეეცადოს თურქეთის დახმარებით შეზღუდოს მოსკოვი ამიერკავკასიაში? გააერთიანოს არმიები, მოახდინოს რაიმეს პროვოცირება სომხეთსა და რუსეთთან დაკავშირებით? რუსეთი კი, აღვნიშნავ, ადვილად მიდის ასეთ ხუმრობებზე... მოსკოვის გაღიზიანების გარდა თბილისის განცხადების უკან ვერაფერს ვხედავ. აღვნიშნავ აგრეთვე, რომ ილხამ ალიევი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსია და სააკაშვილის თამაშებზე არ წავა“.

ბაქოელი პოლიტოლოგის, პროფესორ რასიმ მუსაბეკოვის აზრით, მიხეილ სააკაშვილს განცხადებაზე კონფედერაციის შექმნასთან დაკავშირებით შეიძლება უბიძგა ერთგვარმა არადამაკმაყოფილებელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ – აქ არის 2008 წლის წარუმატებელი ომიც, ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის შეცვლაც საქართველოსთან დაკავშირებით, არც თუ წარმატებული მდგომარეობა ადგილობრივ ეკონომიკაში. ამასთან ერთად მუსაბეკოვმა არ გამორიცხა, რომ კონფედერაციის იდეა შეიძლება გარედან იყოს შემოგდებული.

**იური როკსი**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА



## დედამიწის ზურგზე




**ლუკაშენკომ პირველად გაუკეთა კომენტარი „ნათლია ბატკას“: არავითარი კონფლიქტი არაა, ეს ჩემზე არა არის**

სულ მიბიძგებენ, რომ მოვახდინო რაიმე რეაგირება იმაზე, თუ რა ხდება ჩემთან დაკავშირებით ბელარუსში. მე ამ ნაგავზე პასუხის გაცემას არ ვაპირებ, – თქვა ბელარუსის პრეზიდენტმა. – ეს ფილმი მათზეა, მათ სურთ რომ ყველა ასეთი იყოს“. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს არის იმ პოლიტიკოსის სიტყვები, რომელსაც ხელისუფლებას აშორებენ.

* * *

**ქარიშხალმა „დანიელმა“ ბერმუდის კუნძულებისაკენ გზაზე მიაღწია სახიფათოობის მესამე კატეგორიას**



მეტროლოგების შეფასებით, „დანიელმა“ შეიძლება მიაღწიოს ბერმუდის კუნძულებს უახლოეს რამდენიმე დღეში. მისი ეპიცენტრი ამ კუნძულებიდან დაახლოებით 1300 კილომეტრშია. თავის მხრივ ტროპიკული გრიგალი „ერლი“ ასევე თანდათან ძლიერდება ატლანტის ოკეანეში.

* * *

**კალიფორნიაში მძიმედ დაჯდა თვითმფრინავი, დაშავდა 15 მგზავრი**



თვითმფრინავმა, რომლის ბორტზეც 86 მგზავრი იყო, საკრამენტოს აეროპორტში დაშვების დროს დაიზიანა შასის 2 ბორბალი. ავიაკომპანიის მტკიცებით, ავარიის მიზეზი გახდა სამუხრუჭე სისტემის მოუწესრიგებლობა.

* * *

**ნასამ მზის სისტემის გარეთ აღმოაჩინა 2 ახალი პლანეტა**

მოცულობით ეს პლანეტები სატურნზე ოდნავ პატარაა, ისინი ბრუნავენ ირმის ნახტომის ერთ-ერთი ვარსკვლავის გარეშე, რომელიც აღმოაჩინეს ამ ცოტა ხნის წინათ ორბიტარული ტელესკოპით. ამჟამად ამ ხელსაწყოს წინაშე დასახულია ამოცანა – უპასუხოს, მარტო არის კაცობრიობა სამყაროში?



* * *

**მიწისქვეშ რამდენიმე თვით ჩარჩენილმა მაღაროელებმა ზევით გადმოსცეს ვიდეოანგარიში იქ ცხოვრების შესახებ**

45-წუთიან როლიკში მეშახტეები საუბრობენ, თუ როგორ მოაწყვეს თავიანთი ყოფა ცხოვრება. ისინი არ მისცემიან სასოწარკვეთილებას და ელოდებიან ვიდეოჩანაწერებს ფეხბურთის ვარსკვლავებით. კადრები უჩვენეს ეროვნული ტელევიზიით. ამ დროს შახტის აქტივები გაყინეს: მეშახტეთა ნათესავები ითხოვენ კომპენსაციას.

# ნინო ბურჯანაძეს დიახაც ეპრეზიდენტება!..

**საქართველოს პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მზად არის კენჭი იყაროს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე. თბილისში თითქმის ყოველდღე მიმდინარეობს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილების საპროტესტო აქციები და ქუჩის მოვაჭრეების გამოსვლები – ხშირად ეს მოვლენები მთავრდება პოლიციასთან შეტაკებით. პოლიტიკოსების ერთი ჯგუფი განიხილავს სახელმწიფოს მეთაურის იმპიჩმენტის პროცედურას. მეორემ დაამთავრა მუშაობა სარჩელზე მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ – მის გაგზავნას აპირებენ ჰააგაში საერთაშორისო სასამართლოში. საზაფხულო მიყუჩების შემდეგ პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში კვლავ იწყებს აბობოქრებას**



თავისი პრეტენზია პრეზიდენტის პოსტზე ბურჯანაძემ გამოთქვა მას შემდეგ, რაც მას არ მისცეს შესაძლებლობა შეხვედროდა ლტოლვილებს სამხრეთი ოსეთიდან სოფელ ხურვალეთში. მაშინ ყოფილ სპიკერსა და მის თანმხლებ პირებს ქვები დაუშინეს. მასობრივი ინფორმაციის ოფიციალური საშუალებები ირწმუნებოდნენ, რომ ეს გააკეთეს ლტოლვილებმა, რომლებიც „ვერ იტანენ“ ბურჯანაძეს მისი შეხვედრების გამო რუსეთის ხელმძღვანელობასთან. თავად იგი დარწმუნებულია: ქვები ესროლეს „ზონდერგუნდის“ წევრებმა, რომლებიც დასპეცებული არიან ოპოზიციონერების გასწორებაში.

ბურჯანაძის აზრით, საჭიროა მივაღწიოთ მიხეილ სააკაშვილის გადადგომას მშვიდობიანი გზით და ვადამდე ავირჩიოთ პრეზიდენტი. იგი დარწმუნებულია, რომ „ვარდების რევოლუციის“ ბელადის ხელისუფლების სათავეში ყოფნა მუდმივად ემუქრება ქვეყანას ომით.

ნინო ბურჯანაძე თავის ამბიციებს არასდროს მალავდა. მით უმეტეს ამჟამად, როდესაც ოპოზიციური ლიდერები ფაქტობრივად ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი მათგანი გამოდის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და ხელისუფლების არჩევნების გზის შეცვლისთვის. მისი გაუმჟღავნებელი სულისჩამდგმელია „ალიანსი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია. მეორე ჯგუფს არ სჯერა ასეთი შესაძლებლობისა და მოითხოვს პრეზიდენტის უსიტყვო გადადგომას.

განსაკუთრებულ იმედებს ბურჯანაძე ამყარებს სრულიად საქართველოს სახალხო კრებაზე, რომლის გამართვაც გათვალისწინებულია შემოდგომისთვის. პარაუდობენ, რომ მთავარი მოქმედი პირები მასში გახდებიან საქართველოში ცნობილი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სპორტსმენები, ყველა ის, ვისაც აქვს რაიმე ავტორიტეტი საზოგადოებაში.

ასეთი გზა საერთოდ აპრობირებულია. ორი ათეული წლის წინათ, როდესაც საქართველოს ხელისუფლების სათავეში იყო ზვიად გამსახურდია, ოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მოაწყვეს არჩევნები ეროვნულ კონგრესში. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც ოპოზიციის შეკავშირებაში, ისე მოქმედებათა ერთიანი პროგრამის შემუშავებაში. მხოლოდ სამხედრო გადატრიალებამ შეუშალა ხელი კონგრესისთვის ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემას. მასში, სხვათა შორის, მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზებიც და ოსებიც. რა ვუყოთ, რომ მეთვალყურეების სახით. დღეს ამის შესახებ თითქმის აღარავის ახსოვს.

ბურჯანაძე მხარს უჭერს საყოველთაო კრებას. „თეთრები“, „ეროვნულ ძალთა ალიანსი“, „კონსერვატორები“ და კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია აპირებს პროცედურის დაწყება დაამთხვიონ სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურას 7 ნოემბრისთვის – თბილისში პოლიციისა და ჯარების მიერ ოპოზიციის დარბევის მესამე წლისთავზე. „ეროვნული ფორუმი“ არ გამორიცხავს ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას, რომელიც დიალოგს წარმართავს ხელისუფლებასთან საარჩევნო კოდექსის შეცვლასთან დაკავშირებით. ლეიბორისტები უბრალოდ გვპირდებიან გამოიყვანონ ქუჩაში თავისი მომხრეები, თუ პარლამენტი მიიღებს კონსტიტუციის ახალ რედაქციას.

რამდენიც უნდა იმოგზაურონ ალასანიამ და აქტიური მოქმედებებისთვის მუდამ მზად მყოფმა „ეროვნულმა ფორუმმა“ რეგიონებში და განამტკიცონ თავიანთი რეგიონალური ორგანიზაციები, ძალიან ცოტას თუ სჯერა, რომ ისინი შეცვლიან სიტუაციას.

ყველაზე მკაცრი, ალბათ, ყველაზე ზუსტი შეფასებაც მიმდინარე მოვლენებს მისცა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ. „ოპოზიციონერები უნდა ებრძოდნენ ხელისუფლებას. ამის ნაცვლად, ისინი ფულს ღებულობენ ხელისუფლებისგან და პლაჟებზე ყრიან“, – ამბობს იგი. შეიძლება მხოლოდ დავუმატოთ: „ამავე დროს ისინი არ ივიწყებენ, რომ დაჰპირდნენ პრეზიდენტს და მის გუნდს „ცხელ შემოდგომას“.

**კირილ კოლოდინი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

№ 161. შაბათი, 28 აგვისტო, 2010 წელი.

**რინოს კვარაცხელია — 75**

*უხვი ნაყოფით დახუნძლული, მდიდარი ნაირფერადი პალიტრის მქონე შემოქმედის, ჭეშმარიტი პოეტის რინოს კვარაცხელიას პორტრეტის პატარა საგაზეთო სტატიაში გამოსახვა ისე, რომ მკითხველმა იგრძნოს მისი გულისცემის რიტმი, საზრუნავ-საფიქრალ-საწუხარის მასშტაბები, ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ზოგჯერ ამას აუცილებლობა მოითხოვს. მით უმეტეს, რომ პოეტი იუბილარია! პირველსავე წიგნში „მოვა აპრილი“ (1981), პოეტი იმ სათქმელს გამოხატავს, რაც მისთვის ახლა უფრო რეალურია: „წლები მოვთიბე, როგორც ბალახი და ავიკიდე მხრებზე ზვინებად“.*
*წლეულს ბატონ რინოსს 75 წელი შეუსრულდა, ცხადია, ამ ხნის განმავლობაში, წლების ზვინი გაზრდილი და დამძიმებულია, მაგრამ მკითხველმა, ვინც რინოს კვარაცხელიას იცნობს, იცის, რომ პოეტი კვლავ ქედუხრელად დგას სათიბში და გამართულ მხარბეჭზე ახლად ნათიბ ზვინებსაც „იკიდებს“.*



რინოს კვარაცხელია

# შვების ჭანგსა და ტკივილის აფრას მინდობილი

პირველსავე წიგნში ჩანს რინოსი, როგორც მამულის საზრუნავსა და ადამიანურ საფიქრალს მიყურადებული, ხელოვნის სიმაღლეების მაძიებელი შემოქმედი, რომლისთვისაც ლექსი შვების ჰანგი, — საქვეყნოდ გასაცხადებელი სათქმელის დვრიტაა, — ჩანაფიქრის მხატვრული გამოხატვის საშუალება და მოქალაქეობრივი პოზიციის დასტურია... მერმისს იგი უფრო მეტის იმედით გაჰყურებს: **„და შენკენ მრჩება ხელი გაწვდილი, ჯერ არ მოსულო მზევ და აპრილო“.**

პოეტისთვის ბუნება, სამშობლო, მშობელი ერი, შვილები და უახლოესი ადამიანები ულევი შთაგონების წყაროა: **„გამოიხედა მზემ ცის სარკმლიდან, ვით აივნიდან ლამაზმა ქალმა“** („სურათი“). **„ხარ ხმლის მოქნევა მთიდან ზარამდე და ცხელ ძარღვებში სისხლის კივილი, მახარებს შენი მზე და სიმაღლე და მტკივა ყველა შენი ტკივილი...** („სამშობლო“). **„არწივს ცაში ლაღი ფრენა უხდება, ცას ელტვიან მიწიერი ღმერთებიც, ენატრება ქართველს თავისუფლება, გუგუნებენ საქართველოს ვეფხვები“** („სიმღერა თავისუფლებაზე“).

სამშობლოსადმი ერთგულების ჰიმნად გაისმის მისი ლექსი **„მე აქ ვდგავარ“: „მე აქ ვდგავარ და აქ დგას ჩემი ციხე-სიმაგრე, რომლის ერთგული სიკვდილამდე ვარ მეციხოვნე, გარდასულ ჟამთა, წინაპართა სულის სიმაღლედ, დროშად ფრიალებს ციხის თავზე ჩემი სიცოცხლე!“**

ასევე განსაკუთრებულია მისი სიყვარული შვილებისადმი: **„შვილები ჩემი მეორედ მოსვლა, თამარი ჩემი, ვახტანგ და დათო, მე დავემხობი მიწაზე ლოცვად, მათი სავალი გზა რომ გავათბო“. „დავზრდი ბოკვერებს მამულისათვის და გავუყენებ მზისკენ აღმართებს“.**

ძალიან ტრაგიკული გამოდგა პოეტის ბედი — შვილებით ასე დაიმედებულს, ანაკლიასთან ზღვამ მოსტაცა ვაჟები: ახლადჩარიცხული სტუდენტი დათო და სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვახტანგი. **„ჩემს უბედობას ვერვინ აწონის — ბიჭები მყავდნენ თავმოსაწონი, შეუბღალავი ცისკრის ღიმილი, ჩემი კაცობის ოქროს გვირგვინი“. „ჭიშკართან არვინ იძახის დათოს, ჭიშკართან არვინ ეძახის ვახოს, მზე ჩაესვენა და აღარ მათბობს — თითქოს უდაბურ კუნძულზე ვსახლობ“. „იმედის წარღვნაა თქვენი დადუმება — საჩემო საფლავზე ცრემლად დაგუბება“.**

და კიდევ მრავალი გულშემძვრელი ლექსი მიუძღვნა პოეტმა შვილთა ხსოვნას, ქვეყნისა და ოჯახის წინაშე მოვალეობამ საშინელი უბედურება დააძლევინა: „შენი ჭირი ქვასაც ხლეჩდა, უმძიმესი და მზარავი, გმადლობთ, ღმერთო, მაინც შემრჩა სული გაუბზარავი“.

გაუბზარავმა სულმა შთაუნერგა, რომ ოჯახში დარჩენილ ერთადერთ კაცს უნდა ეპატრონა თვითმკვლელობის ზღვრამდე მისული მეუღლისათვის — ვაჟების დედისათვის, დისა და ბებიისათვის. ასევე საპატრონო გაუხდა 17 წლის დათოს შემოქმედება: **„შენი სილაღით და სიალალით და სათნო გულით ნაალერსებო, ნუ მიწყენ, შვილო, თუ გამოვლალე გადამალული შენი ლექსები“.**

მამამ, უდავოდ დიდი ნიჭიერებით შთაგონებული ჭაბუკის, დათოს ლექსები ცალკე წიგნად გამოსცა: **„გაგახსენდები როგორც სიზმარი“** (1989 წ.).

შემდგომში გამოცემულ თავის ლექსების კრებულს რინოსმა **„სევდის მწვერვალი“** (1992 წ) უწოდა, რომლის წინასიტყვაობაში იგი წერს: **„ბედმა უმძიმესი სატანჯველი მომგვარა — სიკვდილამდე ვატარო გულგამგმირავი ხსოვნა ჩემი შვილების — დათო და ვახტანგ კვარაცხელიების და მათთან ერთად დაღუპული ახლო ნათესავების, მამა-შვილი ფელიქს და ლევან შენგელიების, რომელთა სიცოცხლე ერთდროულად შეიწირა ზღვამ. ეს წიგნიც მათ ნათელ ხსოვნას ეძღვნება. ამ უღვთო ტრაგედიისგან გამოწვეული უდიდესი სევდითაა გაჟღენთილი ეს ლექსები“.**

პოეტმა შეძლო მოუშუშებელი ტკივილი პოეზიად ექცია... უფრო მეტიც: მხარში შეუდგა უთვალავი გასაჭირით დაუძლურებულ სამშობლოს, მხნედ ჩადგა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში. ამის თვალსაჩინო დასტურია მისი ჟურნალისტური საქმიანობა, — წვლილი ეროვნულ მოძრაობაში (90-იან წლებში იყო მკვეთრად ოპოზიციური გაზეთ „წალენჯიხის ზარების“ რედაქტორის მოადგილე) და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ლექსები...

2004 წელს რინოსმა გამოსცა რჩეული ლექსების კრებული **„ტკივილის აფრა“.** მამულის ტრაგიკული პერიოდია ამ წიგნის მთავარი თემა: **„დამღუპველია დღეს, ქართველო, მშვიდად გაჩერდე — განახევრებულ საქართველოს როცა გაჩვევენ“ „მე ვევედრები შემოქმედ უფალს, რამეთუ ვიცი, რა მეშველება, — ჭირისგან დახსნილ და თავისუფალ საქართველოსთვის თვალის შევლება!“ „არაფერს დავეძებ, არაფერს ვინატრებ, ამქვეყნად სხვა რამე დანარჩენს, — ოღონდ საქართველო, ოღონდ ქართველობა, ოღონდ ეროვნება გადარჩეს!“ „გაგიმეტეს საქართველოვ მოღალატე შვილთა და გაგყარეს უსინდისოდ მთით, ველით და ზღვითა“. „გუშინ უძლეველ რუსულ ჩექმას დღეს ასძვრა ლანჩა, ვაი იმ ქართველს, ვინც ამ ჩექმის იმედით დარჩა, ყველას ანახეს იჩქერიის მკვიდრმა ლომებმა, — თავისუფლება თუ რის ფასად მოიპოვება“.** („ჩეჩნეთ ძლევაი საკვირველი“, 1996 წ.).

პოეტი ლაკონიურად, ორი სტრიქონით ძერწავს მამის პორტრეტს: **„კუბოს კარამდე გულმართალი დარჩა და შვილთა პატიოსნება დაგვიტოვა უმძიმეს ტვირთად“.** ასევე ორ-ორ სტრიქონში არის გამოხატული ის უმთავრესი, რითაც გამოირჩეოდნენ ტერენტი გრანელი და ლადო ასათიანი... **„ის დადიოდა ქუჩაში მარტო და ყვითელ ფოთლებს ჭირისუფლობდა“. „ლადოს გული საფლავში არ ჩაჰყოლია, — აქ დატოვა მზედ და ლექსად ანთებული“.**

ლექსებში **„მესამე სვეტი“** და **„რწმენის ტაძარი“** ასევე შთამბეჭდავად გვიხატავს ერისთვის თავდადებული პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და მამამისის, დიდოსტატი მწერლის, კონსტანტინეს სახეებს: **„ჩვენი ქვეყანა თურმე რამდენ ორგულებს ზრდიდა, მამულის მტერი ყველა თქვენი მტერია, ზვიად!“ „გვიხმობს, გვარწმუნებს მწერლის სული და მეუფება, ღირს თავგანწირვად საქართველოს თავისუფლება!“**

სამშობლოსადმი ერთგულება, პატიოსნება, გულწრფელობა და სიმართლეა ადამიანის ღირსეულობის საზომი და ამ ნიშნით გამორჩეულ მამულიშვილებზე თვალსაზრისი განუშორებლად ახლავს მთელ მის შემოქმედებას.

აღსანიშნავია პოეტის ლექსების ციკლიც **„ლაკადური“,** სადაც რინოსი მშობლიურ ოდაბადეს, სამეგრელოს განსაკუთრებული სითბოთი ეფერება და ბევრ ეჭვმიუტანელ სინამდვილეს, იუმორითა და სარკაზმით შეკაზმულს, მეგრულად შეახსენებს.

**„იმედის წარღვნის“** მიუხედავად, პოეტმა საკუთარ თავში ისეთი ძალა იპოვა, რომ შეძლო სამშობლოსადმი თავიდანვე გაცხადებული სიყვარულის დასტურყოფა და საქართველოს პოეტურ საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

* * *

დღეს რინოსი სტუდენტი შვილიშვილების ბაბუაა...

ჭიშკართან ისევ ეძახიან დათოს და ვახტანგს...

ვუსურვოთ კვლავაც დიდხანს ემოღვაწეოს თავისი სევდიანი, დიდი თბილი გულის გასამხიანებლად.

**თამაზ ფიფია,**
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

**ვალერი ლუკავა,**
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

* * *

***ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ პოეტ რინოს კვარაცხელიას რამდენიმე ახალ ლექსს***

## ბალადა ბედაურებზე

(წარწერად ვალერი ჭანტურიას
საავტორო გადაცემისა —
„ლურჯაი თვალცრემლიანი“)

**ჰუნე, ტაიჭი, მერანი, რაში,
ბედაური და გინდა იაბო, —
ასე უხმობდა ქართველი კაცი
ცხენს ოდითგან და გულით მიენდო...
ცხენი ქართველ კაცს დასაბამიდან
ეგულებოდა ნამდვილ იმედად,
ცხენდაცხენ მომხდურს ევკვეთებოდა
და მარულაშიც აჯირითებდა.
უფლის წილხვედრი ჩვენი მამული,
გარშემორტყმული მტრებით, ბორგავდა,
მიტომც მოსდგამდა ბრძოლა გმირული
და ცხენოსნობაც მუდამ მოსდგამდა.
განუშორებლად სულ გვერდით ედგა
ჭირში და ლხინში ნაერთგულევი,
ეპოქას ქმნიდნენ მხედრებთან ერთად
ომგადახდილი ბედაურებიც...
მეფეთა მეფემ, სწორუპოვარმა,
მტერი დაჯაბნა და უკუნეთი,
ხელახლა შექმნა მან იბერია
და ცად ამაღლდა თვისი ჰუნეთი...
დაუოკებელ ფიქრით მღელვარით
სივრცეს სერავენ შეუსვენებლივ, —
თავაწყვეტილი ტატოს მერანი,
გალაკტიონის ლურჯა ცხენები...
გულზვიადი და გულთამხილავიც,
უბადლოდ მკვირცხლი და ფეხმარდია,
ეს დიდოსტატის მოწონებული
ულამაზესი დარდიმანდია.
მოქუხს მდინარე აზვირთებული
ურა ცხენივით ყალყზე შემდგარი,
შესძგერებია ენგურს მკერდულით
არაბია და მისი მხედარი...
ჟამთან ჭიდილში ნირშეუცვლელი
და მოთმინებით მართლაც იობის, —
მარადიულად გველთ შემმუსვრელი,
რაშს დააგელვებს წმინდა გიორგი.
დაქრის იქ, სადაც კლდე და ფლატეა
და გულს იზიდავს, ვით ანდამატი,
კაცთაგან ზოგი მოღალატეა, —
ცხენთაგან არვის ახსოვს ღალატი.
გათქერეს სივრცე ჭენებ-ჭენებით
და მიწას ნამად ოფლს ასხურებენ,
გამორჩეული, ვითარც მხედრები, —
ცხენებიც ძეგლებს იმსახურებენ...
და წმინდა სისხლის ულაყთა თქარუნს
გამარჯვებათა სდევდა წყურვილი;
იმ რაინდობის დრომ ჩაიქროლა
აღვირაწყვეტილ ბედაურივით...
ხსოვნის მინდორზე მონავარდობენ
ქედფიცხელნი და მედიდურები;
დღესაც სჯობიან ცოცხალ ჯაგლაგებს
ის ვალმოხდილი ბედაურები.**

* * *

**ვეღარ შევავლე თვალი ბედიას, —
ეს ყველაფერი ნუთუ ბედია?
სიცივე მოდის ენგურს გაღმიდან, —
ვაი, რომ სისხლი წვიმად დაღვრილა...
რაზე ლოცულობს ახლა ილორი? —
ჯანღს დაუფარავს ტყე და მინდორი...
არ ჩანს მორდუ და არ ჩანს მორდილი
დარდები მაწევს გულზე ლოდივით.
ძმებს შორის მოჩანს დათვი ჩამდგარი,
რომელსაც მოჰყვა ცივი ზამთარი...
ვიდრე სწვევია სულს აგონია, —
ყველა სიზმარი ცხადი მგონია.
ჩემს სამშობლოში რად ვარ ხიზანი? —
როდის ახდება ცხადად სიზმარი.**

## ფრთხილად, ქართველო!

**შენგან სურთ შექმნან უსულგულო რაღაც
არსება,
რომელიც ქართველს მხოლოდ სახით
თუ ემსგავსება.
ხსოვნას წაშლიან შენში, როგორც
ნაწერს დაფაზე;
ეს სურს სატანას, — დაფიქრება
გმართებს ამაზე!
ღვთიურ სიკეთეს, ვით კეთროვანს,
შეგაძულებენ, —
ეშმაკეულნი შენს გარშემო მოძუნძულენი...
სითბო-სინათლის ჩაბჟირდება შენში
მარცვლები —
სიყვარულისგან სამუდამოდ განიძარცვები.
თუ არ აწონე ამ ხიფათის
სიგრძე-სიგანე, —
შენგან ქართულ სულს უმოწყალოდ
გამოშიგნავენ...
ისე ჩაივლის უკუღმართად შენი
ცხოვრება, —
დედა თამარი, არც რუსთველი
არ გეხსომება...
შენგან სურთ შექმნან მაჯლაჯუნა რაღაც
არსება, —
რომელიც ქართველს ოდენ სახით
დაემსგავსება.
ახალი ჯიშის ქართველები უკვე
ჩნდებიან, —
ყველაფერს ქართულს გულდაგულ რომ
ემტერებიან.
მერმისზე ფიქრში ღამეც თეთრად უნდა
ათენო, —
გადაჯიშებას გიპირებენ, ფრთხილად
ქართველო!**

## სასჯელი

**მე დასჯილი ვარ ჩემი სიცოცხლით
და სასჯელს ვიხდი შავბნელ საკანში,
მე დასჯილი ვარ ჩემი სიცოცხლით,
გამოვატარე სული ლადარში...
მე დასჯილი ვარ სიყვარულისთვის,
სიკეთისათვის ჯვარზე მაგებენ
და ილეწება ჩემი სურვილი,
ვით ჩემი ტანი ნაცემ-ნაგვემი...
მე დასჯილი ვარ, დამიხსნის ვერვინ,
როცა სასჯელად მექცა სიცოცხლე,
სიმწრით შობილი სიმწრითვე ვმღერი,
სიცოცხლით დასჯილს არვინ მიცოდებს,
დრო ულმობელი მოდის და მიდის,
და სულიც მიმდის ოხვრა-წვალებით,
მე დასჯილი ვარ და სასჯელს ვიხდი
ჩემი სიცოცხლის ფერისცვალებით.**

ლევან დათუკიშვილი

ნოველა

# გამოცდა

როგორც ბევრი პატიოსანი ადამიანი, მეც „ვარდების რევოლუციის“ ნანგრევებში მოვყევი – წარმოება, სადაც თითქმის ათი წელი ვეწეოდი ჭაპანს, მოულოდნელად დაიხურა და უმუშევართა რიგებში აღმოვჩნდი...

ჩემი ბედი სარკასტული სიცილით კვდებოდა, სპეციალობის შესაფერის სამსახურს რომ ვეძებდი „თავისუფალ“ საქართველოში...

ვინაიდან შემოსავლის წყარო დამეშრიტა, იძულებული გავხდი, ცოლი და ოთხი წლის ტყუპი ბიჭები სოიის კატლეტსა და შვრიის ფაფაზე გადამეყვანა, რამაც, უარყოფითად იმოქმედა მათს ჯანმრთელობაზე – ოქტომბრის თვეში ხიდან ჩამოცვენილი ფოთლების ფერი დაედოთ; მე კი ტანსაცმელი ისე მეკიდა შელახულ სხეულზე, როგორც საფრთხობელას მწიფე მარწყვით სავსე ბაღში; თუმცა, ბედმა ბოლომდე მაინც არ გამწირა – სიცილიდან ღიმილზე გადავიდა, რადგან ჩემმა თანაკურსელმა, ნაციონალური პარტიის წევრმა, რომელიც მთავრობაში პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა და არ დავიწყებოდა ჩემი კონსპექტების მადლი, თავის ჭარმაგ ბიზნესმენ ბიძასთან – მახარასთან მიმიყვანა, რომელმაც წერილობით ორიოდე სიტყვა შემაწია გაერთიანება „ასორტის“ დირექტორთან...

აგვისტოს იმ აკაშკაშებულ დღეს, როცა მცხუნვარე მზე ცოფიანი ძაღლივით იკბინებოდა, საუკეთესო კოსტიუმში გამოვეწყვე, ფეხსაცმელი საგულდაგულოდ გავაპრიალე და ჩემი უკვე აკუნტრუშებული ბედის მოიმედე, ხსენებული გაერთიანებისკენ გავემართე, სადაც სამი საათისთვის ვიყავი დაბარებული. პროტეჟეს სარეკომენდაციო ბარათით შემაგრებულმა, თამამად გავიარე შენობის ლურჯად შეღებილი, ნეონის შუქით განათებული გრძელი დერეფანი, რომლის ორივე მხარეს თანამშრომელთა ოთახები იყო განლაგებილი, რაც დაწესებულებას საქმიან იერს აძლევდა და „ასორტის“ დირექტორის კაბინეტის მისაღებ ოთახში ამოვყავი თავი.

კოპწია მდივანმა, რომელსაც მუხლამდე კაბა ეცვა და კომპიუტერის კლავიშებზე მოქნილ თითებს ისე გრაციოზულად ათამაშებდა, თითქოს ფორტეპიანოზე მოცარტის „თურქულ მარშს“ უკრავსო, მოკლედ მითხრა – დაელოდეთო; ათი წუთის შემდეგ, ბეჭდვას რომ მორჩა, წამოდგა და დირექტორის კაბინეტის კარს მიღმა გაუჩინარდა, საიდანაც მალევე გამოვიდა და მელოდიური ხმით მაუწყა:

– შებრძანდით, ბატონი სოსო გელოდებათ!

ცოტა არ იყოს, მღელვარედ შევაღე დირექტორის კაბინეტის კარი.

ფართო, ნათელ ოთახში, გრძელი მაგიდის ბოლოს, ქაღალდებში თავჩარგული, ორმოცდაათიოდე წლის ჯმუხი მამაკაცი იჯდა. ოთახში შესვლისთანავე თვალში მომხვდა კედელზე დაკიდებული, ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, საქართველოს პრეზიდენტის მომღიმარე ფოტო; სეიფის თავზე კი – წყლით სავსე ბროლის ვაზაში ლამაზად ჩაწყობილი ხასხასა, წითელი ვარდები...

– ბატონმა მახარამ გამომგზავნა თქვენთან ჩემი სამსახურის თაობაზე. – მოკრძალებით ვუთხარი დირექტორს და კონვერტში ჩადებული წერილი გავუწოდე. მან ამხედ-დამხედა, სკამზე მიმანიშნა და გულდასმით შეუდგა ბარათის კითხვას.

უნებურად მზერა იმ ადამიანის სახეზე გადავიტანე, რომელსაც შეეძლო ჩემი მომავალი ცხოვრება სასიკეთოდ შეეცვალა:

ბატონ სოსოს ბადრი მთვარესავით სავსე, მრგვალი სახე, თვითკმაყოფილებას გამოხატავდა, ეტყობოდა, ბედისგან იყო განებივრებული – ისე ღვიოდა მეტისმეტი კეთილდღეობისგან. მისი მსხვილი, თითქოს გაბუტული ტუჩები, ალბათ ხორციანი კერძების მირთმევას იყო ჩვეული; ცისფერ, ჭკვიანი თვალების უპეებში ეშმაკური სხივი ჩადგომოდა და, ჩემი დასკვნით, არც იუმორის გრძნობას უნდა ყოფილიყო მოკლებული...

– რა სპეციალობის ბრძანდებით? – მკითხა მან, როცა ბარათის კითხვა დაასრულა.

– მექანიკოსი ვარ, პოლიტექნიკური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული.

– ახლა ვაჭრობაში გსურს ბედი სცადო?

– რა ვქნა, ბატონო, წარმოება, სადაც რვა წელი ვმუშაობდი, დაიკეტა; დავრჩი მასწავლებელი მეუღლის მიზერული ჯამაგირის ანაბარა; ორი შვილი მყავს გასაზრდელი და გზაზე დასაყენებელი.

„ასორტის“ დირექტორმა თითები გაატკაცუნა:

– ესე იგი, „გაჭირვება მაჩვენეო...“ და, პროფესია უნდა შეიცვალო? თუმცა, ვინღა მუშაობს დღეს სპეციალობით, ან ვინ აქცევს ყურადღებას დიპლომს?

– გაჭირვება და ასეთი?.. გამტანჯა უფულობამ, რომელიც ცხოვრებას საოცრად აუფასურებს. თითქოს ჩაკვდა ჩემში სიცოცხლის ხალისი... – მოვახსენე გულახდილად.

– პესიმისტურად მსჯელობ, ადრე გაგტეხია გული ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს. – ფილოსოფიურად შენიშნა ბატონმა სოსომ და მოჩვენებითი დამაჯერებლობით განაგრძო: – თუმცა, სიცოცხლე თავისთავად კვდომის საწყისის მატარებელია და ჩვენს დროში დამამცირებელი უსახსრობა ხელოვნურად აჩქარებს კვდომას, მაგრამ იმიტომ გვქვია ადამიანი, რომ გავუძლოთ დროებით გაჭირვებას და გადავლახოთ წინააღმდეგობანი. საჭიროა რწმენა, ჩემო კეთილო, მტკიცე რწმენა, რომ ბნელს აუცილებლად ნათელი მოჰყვება. მათეს სახარების მიხედვით, „რწმენა მთებს ძრავს“... არავინ გყავს დამხმარე?

– ზოგჯერ მეხმარებიან, მაგრამ დანტე შეგვახსენებს: „სხვისმა ლუკმამ ყელზე დადგომა იცისო.“ – ფილოსოფიურადვე მივუგე მე. – მირჩევნია ჩემი ოფლით მოვიპოვო საარსებო წყარო. დასანანია, რომ სპეციალობით ვერ ვშოულობ სამსახურს. მე ხომ საკმაოდ დაფასებული ვიყავი წარმოებაში.




– რაპტუს. – ჩაილაპარაკა ბატონმა სოსომ.

– რა ბრძანეთ?

– სიგიჟეა, სტიქიური სიგიჟე, როცა პიროვნება თავის საყვარელ პროფესიას ეთხოვება და იძულებულია ნებისმიერ სამუშაოს მოჰკიდოს ხელი, რათა თავი ირჩინოს. მაგრამ ვფიქრობ, მალე ჩადგება ყოველივე კალაპოტში... ხომ არ შეიძლება გაღატაკდეს მთელი ერი, ჩვენი კეთილშობილი, ქართველი ერი?!. ნაციონალურ პარტიაში რატომ არ შეძვერი, ან სხვა რომელიმე პარტიას არ მიეკედლე? მათი კეთილდღეობით ისარგებლებდი. – თითქოს გამიშინაურდა და ჩემს გათამამებასაც შეეცადა ბატონი სოსო.

– ყველა პარტიის წევრი ხომ არ იქნება? პარტიაში რომ შეხვიდე, უნდა გწამდეს მისი იდეების... და აი, კეთილშობილი ბედის მაძიებელი გეახელით. იმედია, ჩემმა აღსარებამ არ დამადაბლა თქვენს თვალში...

– მაცხოვრის მცნება „მაღალთ ამდაბლებს და მდაბალთ განადიდებს.“ – კვლავ სახარება დაიმოწმა „ასორტის“ განათლებულმა დირექტორმა. – ყველას როდი ძალუძს დროის მიხედვით ყმუილი, ღრენა და ყეფა. სამწუხაროდ, ახლა რთული ცხოვრებაა; იშვიათად შეხვდები წრფელ და მოცინარ სახეებს.

– ეჰ, ბატონო, ცხოვრება წიგნის კითხვას ჰგავს – ადამიანი მოცინარს ღიმილით პასუხობს, მგლოვიარეს კი – ცრემლით. ამიტომ მოველი თქვენგან თანაგრძნობას და დახმარებას...

დირექტორის კაბინეტში მდივანი შემოგოგმანდა:

– ეს წერილები სასწრაფოდ არის გასაგზავნი, ბატონო სოსო, –მიმართა უფროსს და მაგიდაზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაბეჭდილი ფურცლები დაუწყო.

გაერთიანების ხელმძღვანელმა ამოიხვნეშა, დოკუმენტებს თვალი გადაავლო, ხელი მოაწერა და მდივანს ჰკითხა:

– ირმა, არ გაცივდებოდა „ბორჯომი“, დილით, სამინისტროში წასვლის წინ რომ შევაწყვე მაცივარში?

– გაცივდა და დაცარიელდა კიდეც.

– როგორ გავიგო შენი კალამბური?

– ჩვენმა ბიჭებმა დალიეს მომარაგების განყოფილებიდან.

– ჩემი „ბორჯომი?!“ ვაი, გაუწყრათ ღმერთი! რატომ მიეცი ნება?

– რა მექნა, ბატონო სოსო, თავი შემაცოდეს, „პახმელიაზე“ ვართო.

– ძალიან წავიდნენ თავს, ლიმონათი და ლუდი ვერ შემიდგამს მაცივარში, გემო რომ არ გაუსინჯონ. გაგონილა?! – ისეთი სახით შემომხედა დირექტორმა, თითქოს თანაგრძნობას ჩემგან ელისო. –ბოდიში გამოთქმისთვის და, თავდახურული ბოთლით შარდი რომ შევდგა მაცივარში, – კვლავ მდივანს მიუბრუნდა ენაკვიმატი უფროსი, – ნახავ, თუ არ დალევენ!

გულში გამეცინა ბატონ სოსოს სკაბრეზულ გამონათქვამზე; ირმას კი, სირცხვილისგან ლოყები აუელვარდა:

– ბატონო სოსო! უხერხულია უცხო კაცთან ამ ტონით საუბარი...

– კარგი, კარგი... – ჩაიცინა უფროსმა. – გამომართვი ხუთი ლარი, ჩემს მძღოლს „ნაბეღლავი“ მოატანინე და მაცივარში შეაწყვე, თან ყველა მკაცრად გააფრთხილე, უჩემოდ ხელი არ ახლონ!

როცა კეკლუცი მდივანი გავიდა, „ასორტის“ ხელმძღვანელმა ერთხელ კიდევ წაიკითხა ჩემი სარეკომენდაციო წერილი.

– მახარას გამოგზავნილს უარს როგორ ვეტყვი, მან გამომიყვანა ცხოვრების ასპარეზზე. – მითხრა ბოლოს ბატონმა სოსომ. – გარდა ამისა, პირადადაც მომეწონე – განათლებული, პატიოსანი ახალგაზრდა ჩანხარ.

– ესე იგი?..

– ესე იგი, რამეს მოგიხერხებ.

ცოტა ხანს მდუმარედ ვიჯექით, სიჩუმეს მხოლოდ კონდიციონერის მონოტონური ზუზუნი არღვევდა.

– ნაყინი გიყვარს? – მოულოდნელად მკითხა დირექტორმა.

– მერე?..

– მერე და მერე! გიყვარს, ნაყინი? – გამიმეორა კითხვა.

– ბავშვობიდან, თუმცა, დიდი ხანია გემო დამავიწყდა.

– ჰოდა, აი, რას გეტყვი, ჯეელო: გაერთიანებაში ამჟამად ვაკანტური ადგილი არ მაქვს. მოდი, დასაწყისისთვის ნაყინი გაყიდე.

შუბლზე სიმწრის ოფლმა დამასხა: უცებ წარმოვიდგინე ჩემი თავი თეთრი ხალათით, თავზე ჩაჩით და ქუჩაში მოგორავე ურიკით. სკამიდან წამოვდექი და ნირშეცვლილმა რაღაც ჩავილუღლუღე.

– დაჯექი, კაცო, რა მამალი ინდაურივით გაიფხორე! – ძალით დამსვა სოსომ სკამზე. – ცოტა ხნით ამ საქონლით ივაჭრე.

– უმაღლესდამთავრებულმა, თავმოყვარე კაცმა, ქუჩა-ქუჩა ვიყვირო ნაყინს ვყიდი-მეთქი? – ვუთხარი საკმაოდ მკვახედ.

– ბიზნესი ანბანით უნდა დაიწყო, შვილო. – სცადა ჩემი დამშვიდება ბატონმა სოსომ. – როგორ გგონია, ასეთ პასუხსაგებ თანამდებობას ერთბაშად მივაღწიე?.. სამი წელი ჯიხურში ლუდს და სოსისს ვყიდდი, თან ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი დაუსწრებლად. მოგვიანებით დამიფასდა გარჯა: სერიოზული საქმე მომანდეს და ალალი შრომით ფულიც ვიშოვე.

ჩავფიქრდი. რომ არა ჩემი უკიდურესი გაჭირვება, არც ამ „გამოქექილი“ ადამიანის ნაცნობობას ვისურვებდი და არც მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას მივიღებდი.

– ქართველები, ცოტა არ იყოს, კუდაბზიკა ხალხი ვართ, – განაგრძო მან, ყოყმანი რომ შემატყო. – ყველაფერი სწრაფად და ერთი ხელის მოსმით გვინდა. სარფიან საქმეს გთავაზობ, მალე მადლობას მეტყვი. გარდა ამისა, ენდე ჩემს კაცურ სიტყვას, თუ თავს გამოიჩენ, მოკლე ხანში უკეთეს რამეს გამოგინახავ.

თავს ზემოთ ძალა არ იყო, მისმა ბოლო წინადადებამ გული გამიკეთა – დავთანხმდი, დროებით ნაყინის გამყიდველად მემუშავა.

– ახლა ერთი საკითხიღა დაგვრჩა მოსაგვარებელი. – მითხრა ბატონმა სოსომ. – სიმღერა შეგიძლია?

შევცბი ამ ახალ ახირებაზე.

– სუფრასთან არ გიმღერია? – დამიზუსტა კითხვა.

– როცა შევქეიფიანდები, ზოგჯერ ჩემთვის წავიღიღინებ ხოლმე.

– აბა ერთი, რამე წაუმღერე! – სერიოზული სახით მთხოვა მან.

სახტად დავრჩი.

– ჰო, მიდი, რაღა! – წამაქეზა დირექტორმა. – საქმეს სჭირდება!

ბატონ სოსოს გაცისკროვნებულ, ნაკვერჩხალივით მოელვარე თვალებში დაცინვის ნატამალი არ იგრძნობოდა და მეც ბოლომდე მივყევი ამ უცნაური კაცის კაპრიზებს – დაბალი ხმით წამოვიწყე ტერენტი გრანელის ლექსის მიხედვით შექმნილი სიმღერა – „უფალო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია,“ – რომელიც ყველაზე მეტად შეეფერებოდა ჩემს დღევანდელ ყოფას.

– კარგია! – კმაყოფილი სახით შემაწყვეტინა მან. – კარგია, რომ ტენორს ფლობ. ბარიტონი და მით უმეტეს, ბანი, არ ივარგებდა.

– რაზე მეუბნებით მაგას, ბატონო? – ვკითხე გაოცებულმა.

– ნაყინის გამყიდველს წკრიალა ხმა უნდა ჰქონდეს, რომ დაიყვირებ – ნაყინი, „მაროჟნიო“, მთელ უბანს უნდა ესმოდეს, რათა ბევრი კლიენტი მიიზიდო. მოდი, საცდელად ჩემს კაბინეტში დაიყვირე, ოღონდ, თუ კაცი ხარ, „მაროჟნი“ „იიე“-თი არ დააბოლოვო... მოიცა, სად გარბიხარ, მართლა კი არ...

აღარ მახსოვს, როგორ გამოვვარდი გაერთიანება „ასორტის“ დირექტორის კაბინეტიდან, როგორ დავწყევლე ჩემი გაჩენის დღე აქ მოსვლისთვის, როგორ გავიარე ლურჯად შეღებილი დერეფანი და როგორ აღმოვჩნდი აგვისტოს ხვატით გავარვარებულ ქუჩაში...

მთვარეულივით დავბორიალებდი დედაქალაქის ქუჩებში. მერე გონს მოვეგე, ელიავას ბაზრობასთან, ვახუშტის ხიდს მივაშურე, სადაც არაოფიციალურ შრომის ბირჟაზე, ჩემსავით ხელმოცარული, მაგრამ ხელმარჯვე ოსტატები ამაოდ ელოდნენ შემთხვევით სამუშაოს მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ...

ღამდებოდა, როცა სახლში მივედი. აივანზევე ავარიდე თავი მეუღლის მიერ სეტყვასავით დაყრილ კითხვებს და ოთახში შევედი, სადაც ჩემი პატარა „უფლისწულები“ ტირილითა და ცაცების ქნევით შემეგებნენ: „მამა, ლობიო არა, ჩიჩი, ჩიჩია გვინდა!..“

ვეღარ გავუძელი მათ საცოდაობას, სარდაფში ჩავიკეტე და საქმეს შევუდექი...

მეორე დღეს კვლავ გაერთიანება „ასორტის“ შენობის ჩემთვის უკვე ნაცნობ დერეფანში შევრგე თავი და სარდაფში ნავარჯიშებმა, რიხიანად დავჭექე:

– ნაყინიი! მაროჟნიი!

გაერთიანების მუშაკები თავიანთი სამუშაო ოთახებიდან გამოცვივდნენ.

კაბინეტიდან ბატონი სოსოც გამოვარდა:

– ირმა, ირმა! ნაყინი მოგვადგა კარზე! ათიოდე ცალი აიღე და საყინულეში შეალაგე!

მე კვლავ განვაგრძობდი ნაყინისა და „მაროჟნის“ ძახილს, თან ღიმმორეული, „ასორტის“ დირექტორისკენ მივემართებოდი.

– აი, შენ არ გადაგაშენა ღმერთმა! როგორ გაგვაცურე!.. –გადაიხარხარა ბატონმა სოსომ, როცა მიცნო; მერე სიცილისგან თვალებზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა და კაბინეტში შემიძღვა: – შვილო, ფხუკიანივით რომ გაიქეცი გუშინ, ნუთუ ვერ მიხვდი, რომ გამოცდა მოგიწყვე?!. მიხარია, რომ ეს გამოცდა დღეს მაინც ფრიადზე ჩააბარე! დაამტკიცე, რომ გესმის ხალასი იუმორის ფასი; განა მსოფლიო კატასტროფისგან სიცილმა არ იხსნა?!. გეგონა, გაგიმეტებდი ნაყინის გამყიდველად?.. როგორღა შევხედავდი მერე ჩემს გამზრდელს და შენს პროტეჟეს – მახარას, თვალებში? აბა, დამიწერე განცხადება, გაერთიანების საფირმო, უნივერსალურ მაღაზიაში გნიშნავ სექციის უფროსად!..

...ემოციებისგან დაცლილს, მადლობის გადასახდელად ძალა აღარ შემწევდა; ხმადაბლა იმის თქმაღა მოვახერხე:

– გაიხარეთ, ბატონო სოსო, გაიხარეთ!

შვილიშვილის სარჩელი

იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

ამ დროს კოდექსის ამ მუხლში ნათქვამი იყო: *„სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება იქნეს აღძრული, აღძრული საქმე კი უნდა შეწყდეს... გარდაცვლილთან დაკავშირებით...* ჯერ ერთი, თუ გარდაცვლილთან დაკავშირებით საქმე წყდება ყველა შემთხვევაში და დაუყოვნებლივ, მაშინ იაბლოკოვი, როდესაც გამოძიებას ედგა სათავეში, რატომ აგრძელებდა გარდაცვლილების სისხლის სამართლის საქმის წარმოებას ორი წლის განმავლობაში, პოლონეთში რა, ორდენის „გამომუშავებას" აპირებდა? რა, იაბლოკოვმა არ იცოდა, რომ სტალინი ცოცხალი აღარაა უკვე 39 წელია?

მაგრამ რსფს რესპუბლიკის ზემოხსენებულ კოდექსს, როგორც ამჟამად მოქმედს, აქვს შენიშვნა: *„...იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საქმის წარმოება აუცილებელია გარდაცვლილის რეაბილიტაციისთვის"*... ამ საქმეთან დაკავშირებით ორი ეჭვმიტანილია – 1943 წლიდან 1989 წლამდე ეს იყო ჰიტლერი, 1989 წლიდან კი – სტალინი. კატინის საქმის განხილვის დროს სასამართლოში რომელიმე ამ ორიდან იქნებოდა რეაბილიტირებული, მაშასადამე, მუხლის თანახმად, რომლის საფუძველზეც იაბლოკოვმა დახურა საქმე, ის ვალდებული იყო ეს საქმე გადაეცა სასამართლოსთვის!

ამრიგად, იაბლოკოვმა უკანონობა ჩაიდინა, როდესაც საქმე სტალინზე დახურა და არ გადასცა სასამართლოს. ახლა შეხედეთ, როგორ უხსნის იაბლოკოვი მკითხველებს.: თუ არ არის სტალინის სასამართლო, თურმე ამაში დამნაშავეები არიან „სახელისუფლებო ელიტები", წაიკითხე – პუტინი.

ეს ხომ 1937 წლის ეჟოვშჩინის სრული ანალოგიაა! მაშინ პროკურორი როგინსკი სჩადიოდა უკანონობას, დღეს კი „მემორიალის" თავმჯდომარე როგინსკი არწმუნებს ყველას, რომ იმ ეჟოველი როგინსკის უკანონობებში დამნაშავე სტალინია. მაშინ პროკურატურის მუშაკები იყვნენ – ქათქათა სპეტაკები და ფუმფულები, უკანონობაში დამნაშავე სტალინი იყო, და დღესაც პროკურატურის მუშაკები არიან ქათქათა სპეტაკები და ფუმფულები, მხოლოდ უკანონობაში დამნაშავე უკვე პუტინია. შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურის სისხლისმსმელი კაციჭამიები ერთი მისხლითაც არ შეცვლილან – სჩადიან უკანონობას, ამ უკანონობაში კი ხელმძღვანელებს ადანაშაულებენ.

პატივცემულო სასამართლოვ! უნდა გავიმეორო: თუ სადავო სტატიიდან ამოვიღებთ ცილისწამებას მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე და ცილისწამებას სსრ კავშირში დახოცილ პოლონელებზე, ესე იგი მივიჩნევთ, რომ ეს ცნობები სტალინს არ შეეხება, მაშინ სადავო სტატიის არა მხოლოდ მეორე ნაწილის პირველ წინადადებასა და ამ ნაწილის დასკვნას შორის დაიკარგება მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, არამედ მესარჩელეებიც დაკარგავენ შესაძლებლობას დაამტკიცონ სარჩელში დარჩენილი ცნობების სიმართლესთან შეუსაბამობა. როგორ ვუჩვენებთ სასამართლოს, რომ ცნობები იმის შესახებ, თითქოს სტალინი იყო სისხლისმსმელი კაციჭამია, რომელმაც მოაწყო პოლონელების მკვლელობა, არ შეესაბამება სინამდვილეს, თუ წაგვართმევენ შესაძლებლობას – ვუჩვენოთ სასამართლოს, რომ ცნობები პოლონელების რუსების მიერ დახოცვაში სიმართლეს არ შეესაბამება?

და უნდა შევნიშნო, მოპასუხეებისთვის იმის დამტკიცება, რომ სტალინმა მოაწყო 22 ათასი პოლონელის დახოცვა და რომ ასეთ მკვლელობას მართლაც ჰქონდა ადგილი, მარტივი საქმეა. ისინი ხომ წერენ, რომ როდესაც ხარკოვის ომამდე 62 დახვრეტილი საბჭოთა დამნაშავის თავის ქალები ნახეს (ექსკავატორით როდესაც გადათხარესძ, მათ შეძლეს გაეკეთებინათ საგამოძიებო დასკვნა, რომ ამ სასაფლაოზე დაკრძალულია 3820 დახვრეტილი პოლონელი ოფიცერი. ხოლო როდესაც ექსკავატორით ქ. კალინინის ციხის სასაფლაო გათხარეს და იქ დახვრეტილი 20 საბჭოთა დამნაშავის თავის ქალა ნახეს, შეძლეს გაეკეთებინათ დასკვნა, რომ იქ დაკრძალულია 6511 დახვრეტილი პოლონელი პოლიციელი და ჩინოვნიკი. ვინაიდან მოპასუხეებმა ისე სწრაფად დაარწმუნეს ამაში პოლონელები, რომ ახლა პოლონეთის ყველა სკოლაში ასწავლიან თავის ქალების შესახებ, ალბათ ჩვენს მოპასუხეებსაც ბევრი დრო არ დასჭირდებათ დაარწმუნონ სასამართლო თავის ქალების ეს სასწაულებრივი უზომო გამრავლება, ერთდროულად ეროვნულობის შეცვლით.

და რა ულირთ მოპასუხეებს უჩვენონ სასამართლოს, თუ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის ოქმის რომელ ადგილას ან თავად საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებულ ხელშეკრულებაში სად წერია პოლონეთზე ერთობლივი თავდასხმის შესახებ? ეს ფაქტი და მისი ოქმი ხომ სულ ოთხი გვერდია.

მოპასუხეები უკვე ხუთი წელია მთელ მსოფლიოში გაჰკივიან, რომ რუსეთში არა აქვთ მართლმსაჯულება და ამიტომ არ შეუძლიათ დაამტკიცონ სტალინის ბრალეულობა კატინის საქმეში. თითქოსდა ამ სასამართლოში მოპასუხეებმა უნდა დაიწყონ რუსების მიერ პოლონელი ოფიცრების მკვლელობისა და ამ ყბადაღებული პაქტის მათ მიერ გამოქვეყნებული ცნობების სიმართლის დამტკიცება. მაგრამ არა. ისინი ამაზე უარს აცხადებენ. რომ გაჰკიოდნენ მთელ მსოფლიოში სტალინის ბრალეულობაზე, მათ არ რცხვენოდათ, მაგრამ სასამართლოს რომ დაუმტკიცონ თავიანთი ცნობების სიმართლესთან შესაბამისობა, უცებ დაირცხვინეს.




შევაჯამოთ: მოპასუხეები სადავო სტატიაში მოითხოვენ სტალინის გასამართლებას, რათა დაადასტურონ მისი დანაშაულობანი.

მაშ, რა ხდება? ა, ბატონო, – დაადასტურეთ!

19 საათზე მოსამართლემ შეწყვიტა მოსმენა 9 ოქტომბრის დილის 10 საათამდე.

## ალიარებთ თუ არა, რომ...

ჭეშმარიტი მიზეზებისა არ ვიცი, მაგრამ ბასმანის სასამართლოში სარჩელმა სტალინის პატივისა და ღირსების დასაცავად ჟურნალისტების უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია... დასკვნაში. „ჩვენიანები" დავინახე მხოლოდ „კომერსანტიდან" და „ეხო მოსკვიდან". დასავლელები კი უამრავი იყო. მარტო მე მივეცი ინტერვიუ ბი-ბი-სის, „ასოშიეიტედ პრესს", „ფრანს პრესს", პოლონეთისა და კანადის ტელევიზიებს, ვიღაც გერმანელებს. ლიმონოვისთვის ეს იქნებოდა გულის დღესასწაული, მე კი მაღიზიანებდა, რომ მათ რაც უნდა უთხრა, ყველაფერს თავდაყირა დააყენებენ.

მოსამართლე აშკარად ჩვენს კარში ურტყამდა. ურცხვად უბამდა მხარს მოპასუხეებსა და რეზნიკს. აი მაგალითი: ადვოკატები, როდესაც მოპირდაპირე მხარეს უსვამენ შეკითხვებს, ცდილობენ მიიღონ მისგან პასუხი, რომელიც დროის სიმცირის გამო არ იქნება მოფიქრებული ან შეიძლება იყოს სიცრუეც. 8 ოქტომბერს რეზნიკი სწორედ ასე მაძლევდა შეკითხვებს, ასეთი ტიპის ჭკვიანურ შეკითხვებს: „ადასტურებთ თუ არა, რომ გერმანელებმა პოლონელების წინააღმდეგ 1939 წლის 1 სექტემბერს მოაწყვეს აგრესია". ყველაფერი იცის! მაგარი ადვოკატია! ამ შეკითხვებს ვუპასუხებდი მოუმზადებლად.

მაგრამ 9-ში დადგა ჩემი დროც, მიმეცა შეკითხვები მოპირდაპირე მხარისთვის, მე კი, ძველი სასამართლოს გამოცდილებით, როგორც სულელმა, მოვამზადე ეს შეკითხვები წერილობით ორ ცალად, მეორე – სასამართლოს მდივნისთვის, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი – ის ჩემ შეკითხვებს არ დაამახინჯებდა და არ „დაავიწყდებოდა" მათი ოქმში შეტანა. მაშინაც კი, როცა მოპირდაპირე მხარე იყო პროკურორი, მე არ მეშინოდა – მდივანმა მიიღო ქაღალდი შეკითხვებით, რომლებშიც ვტოვებდი ადგილებს პასუხების შესატანად. მაგრამ, როგორც ამას ქვემოთ დაინახავთ, ამ სასამართლოზე მოხდა წარმოუდგენელი რამ, რამაც გამაოგნა. მოსამართლემ ჩამოართვა შეკითხვები მდივანს და დაავალა თანაშემწეს, გაეკეთებინა ქსეროასლები, რის შემდეგაც გადასცა ეს შეკითხვები რეზნიკს წინადადებით – მოემზადოს პასუხებისთვისო. მე აღვშფოთდი – რატომ ირღვევა მხარეების უფლებები: მოსამართლემ რატომ არ გადმომცა რეზნიკის შეკითხვები? ის კი ურცხვად აცხადებს, რომ ეს მე მისთვის არ მითხოვია! მაგრამ რეზნიკსაც მასთან ერთად ეს ხომ ჩვენთვის არ უთხოვია?!

მოსამართლის მიერ პროცესის ასეთი უხეში წარმართვის დროს ის ფაქტი, რომ იგი დამადასტურებელ საბუთად მოპასუხეების მხრიდან საქმეს ურთავს მაკულატურას (40 ათასი რეაბილიტირებულის სიებსძ, წიგნებს ასეთივე სიებით, რაც სრულიად არ შეეხება სარჩელის საგანს (სადავო სტატიის ავტორი არაფერს ამის შესახებ არ წერდა და ჩვენც არ მოვითხოვდით ამ სიების ან რეაბილიტაციის უარყოფასძ, თანაც საქმეს არ ურთავს დადასტურებას სარჩელთან დაკავშირებით, შეიძლება რომ უმნიშვნელოდ ჩაითვალოს?

მე დავიწყე რეზნიკისთვის შეკითხვების მიცემა, და იქვე გამახსენდა, თუ როგორ იქცეოდა ბუხარინი 1938 წლის პროცესზე. ის არც ერთ შეკითხვაზე არ უპასუხებდა პირდაპირ, მხოლოდ ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა. ბოლოს ენამახვილმა ვიშინსკიმ ველარ გაუძლო და პირდაპირ დაუწყო შეკითხვების მიცემა, ალიარებს თუ არა ბუხარინი თავს უდანაშაულოდ. ბუხარინმა აქაც არ უპასუხა პირდაპირ, არამედ დაიწყო ლაპარაკი, ლაპარაკი, ლაპარაკი. ეს უნდა გაითვალისწინო, რომ გაიგო ვიშინსკის შემაჯამებელი ფრაზა: *„ასეთია ბუხარინი – ეს არის პირმოთნე, ცრუ, ეშმაკი ნატურა. ეს ღვთისმოსავ-მტაცებელი და დარბაისლურ-ბოროტი კაცია, ეს არის, როგორც მაქსიმ გორკი ერთ-ერთ თავის გმირზე ამბობდა „ყოფილი ხალხის" გალერეიდან, „მელისა და ღორის წყეული ნარევი".*

მე არ ვაპირებ ამ შეფასების გამეორებას გ. რეზნიკთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც დაინახავთ, ის პრაქტიკულად არცერთ ჩემს შეკითხვაზე არ უპასუხებდა: „კი" ან „არა". ის ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა. რაზეც გინდოდა. მანდელშტამზე და ტროცკიზე, ლენინზე, წყეულ პარტიაზე, იმაზე, რომ სტალინი მეეზოვეც რომ ყოფილიყო – ბელადი იქნებოდა, მაგრამ ოღონდ იმაზე არა, რაზეც ეკითხებოდნენ. ზოგიერთი საკითხი მე სამჯერ გავიმეორე, მაგრამ პასუხად ვღებულობდი სულ ახალ და ახალ ნაყბედარს... არაფერზე. ლ. ჟურამ მას მარტივი შეკითხვა მისცა მისივე იმ განცხადების შესახებ, რომ იმათ, ვინც არ ასრულებდა სტალინის ბრძანებებს, აუცილებლად ხვრეტდნენ: შეუძლია თუ არა დაასახელოს თუნდაც ერთი დახვრეტილის გვარი სტალინის ბრძანების შეუსრულებლობისთვის? პასუხად კი გაისმა 5-წუთიანი განცხადება, რასაკვირველია, დაზარალებულის გვარის დაუსახელებლად.

პირველი შეკითხვები შეეხებოდა მოპასუხეების მტკიცებას, რომ სტალინის გადაწყვეტილებანი აუცილებელი იყო ყველასთვის. რეზნიკი თავის შეკითხვებს იწყებდა სიტყვებით „ალიარებთ თუ არა, რომ"... და ითხოვდა მხოლოდ პასუხს „დიახ" ან „არა". მეც დავიწყე მისთვის შეკითხვების მიცემა ამ მანერით, რასაც იგი აშკარად არ ელოდა. მე ასე დავიწყე.

„იმის დასამტკიცებლად, რომ სტალინი იყო სისხლისმსმელი კაციჭამია, თქვენ დაასახელეთ ორი ისტორიული ეპიზოდი, რაც ხდებოდა, თქვენი ვერსიით, 1939 წლის აგვისტოდან 1940 წლის მარტამდე.

– *შეკითხვა 1.* ალიარებთ თუ არა, რომ სსრ კავშირში ამ დროისთვის უკვე სამი წლის განმავლობაში მოქმედებდა ძირითადი კანონი, რომელიც მიიღეს 1936 წელს და პრაქტიკულად ოფიციალურად ეწოდებოდა სტალინური კონსტიტუცია?

– ვალიარებ, რომ 36 წელს მიღებული იქნა სტალინური კონსტიტუცია, შემდეგი იყო 37 წელი, – მიპასუხა რეზნიკმა.

– *შეკითხვა 2.* ალიარებთ თუ არა, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციით უმაღლესი (საკანონმდებლოძ ხელისუფლება სახელმწიფოში ეკუთვნოდა უმაღლეს საბჭოს?

– ვალიარებ, რომ მიღებული იქნა კონსტიტუცია, რომელიც იყო აბსოლუტური ქაღალდის ფურცელი, რომელსაც არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონია ცხოვრებასთან, ჰფარავდა აბსოლუტური უკანონობის ტოტალიტარულ რეჟიმს, კონსტიტუციაში ეწერა, რომ ხელისუფლება ეკუთვნის უმაღლეს საბჭოს, ეს ტექსტში მართლაც შეესაბამებოდა სინამდვილეს, მხოლოდ ტექსტში, მაგრამ არა ცხოვრებაში.

– *შეკითხვა 3.* ალიარებთ თუ არა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სათავეში ედგა და, მაშასადამე, ხელისუფლების მეთაური იყო მ. ი. კალინინი?

– კალინინი იყო აბსოლუტურად ბუტაფორიული ფიგურა, რომელსაც არანაირი ხელისუფლება ქვეყანაში არა ჰქონდა. ქვეყანაში იყო ხროვის ხელისუფლება, რომელსაც სათავეში ედგა სტალინი და ეს არის ალიარებული საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დადგენილებაში. ტოტალიტარული რეჟიმის დროს, ხალხის პატარა ჯგუფის პრაქტიკულად შეუზღუდავი რეჟიმის დროს, რომელსაც სათავეში ედგა სისხლისმსმელი კაციჭამია, შეიძლებოდა გეწერა ნებისმიერი კანონი, მიგელო ნებისმიერ კონსტიტუცია, რომელთაც არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონდათ ქვეყნის რეალურ ცხოვრებასთან. ისინი იყვნენ ნილბები ტოტალური თვითნებობისა და რეპრესიებისთვის, უმთავრესად რეპრესიები სასამართლოს გარეშე, რასაც ეს ხროვა ახორციელებდა, ქვეყანას რომ მართავდა.

– ეს თქვენ, ცოტა არ იყოს, დღევანდელი დღის რეალიები გადაგაქვთ იმ დროში, – ჩავერთე მე. – მაგრამ მაინც მინდოდა პასუხის მიღება კითხვაზე: ვინ იყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე?

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 155-160.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

ბრიდა შიშველი ფეხებით გაუყვა ტაძრის დამტვერილ იატაკს, რის გამოც დროდადრო უსიამოვნო გრძნობა უჩნდებოდა. სუყოველ ნაბიჯს ნაცნობი გულთბილი ხმა წარუმართავდა. მან იცოდა, რომ ეს უიკას ხმა იყო, მაგრამ ისიც იცოდა აგრეთვე, რომ თავის წარმოსახვას ვეღარ იმორჩილებდა. ის თავისკენ ეწეოდა, ეს ვეღარ ეურჩებოდა, ვეღარ ეჯიუტებოდა, თუმცაღა შეგნება მკაფიოდ უმუშავებდა.

და კუტიკარი გამოჩნდა.

– შედი. იქ ქვევით ჩამავალ ხრახნილ კიბეს დაინახავ.

კუტიკარი ისეთი დაბალი იყო, ყმაწვილქალს დაკუზვა მოუხდა. კედლებში შედგმული მაშხალები კიბის საფეხურთ ანათებდნენ. ეტყობოდა, ახლახან ვიღაცას მოეხილა აქაურობა, მაშხალებიც დაენთო და კიბეც ჩაეგავა.

– შენ შენთა გარდასულ ცხოვრებათა შესახვედრად მიდიხარ. ტაძრის სარდაფში დიდი წიგნთსაცავია. იქ ჩამოდის, ხრახნილი კიბის ძირას გელოდები.

რომც მოენდომებინა, ბრიდა თვითონ ვერ განსაზღვრავდა, რამდენი ხანი გრძელდებოდა ეს გზა ქვესკნელში, უამრავმა მისახვევ-მოსახვევმა თავბრუ დაჰხვია და ჟამკარი აურია, მაგრამ ამასობაში ქვევით აღმოჩნდა და უიკასაც მოატანა თვალი. უცბად უმწეობის გრძნობაც გაუქრა და გულზეც მოეშვა, თუმცა კვლავინდებურად ტრანსში იყო.

უიკამ კიდევ ერთი ჭიშკარი შეაღო.

– ახლა მარტოს დაგტოვებ. გარეთ დაგელოდები. მიდი, ამოარჩიე წიგნი, ის ყოველსავე გიჩვენებს, რისი ცოდნაც გეჭირვება.

დამტვერილი წიგნების თვალიერებაში ბრიდამ ისიც კი ვერ შეამჩნია, რომ უიკა უკან დარჩა. „აქ კიდევ უნდა მოვიდე. ამ წიგნებს გადაწმენდა ხომ უნდა“. წარსული ბინძური და უსიცოცხლო ეჩვენებოდა. გული სწყდებოდა, რომ ადრე ყველა ამ წიგნის წაკითხვა ვერ მოასწრო. მაშინ ეგების შესძლებოდა კიდეც რაღაც-რაღაც მნიშვნელოვანი და აწ უკვე დავიწყებული გაკვეთილების ხელახლა ათვისება.

კვლავ შეავლო თვალი წიგნებიან თაროებს. „უკვე რამდენი მიცხოვრია“, – გაიფიქრა. ალბათ, უკვე ხანმრავალი დედაბერია, მაშასადამე, მეტი სიბრძნე მართებს. სუყველა ამ წიგნს დიდი სიამოვნებით გადაიკითხავდა, მაგრამ დრო უკვე აღარ იყო და ამიტომ მარტოოდენ თავის ალღოსღა ენდობოდა. მერე, ანუ ახლა, როცა გზა იცის, ყოველთვის შეუძლია აქ მოსვლა.

ცოტა ხანს დაბნეული იდგა, არ იცოდა, რა ექნა. უცებ, თითქოსდა ზეგარდმო რამ ხმის კარნახით, ანგარიშმიუცემლად გადმოიღო თაროდან წიგნი, რომელიც მაინცდამაინც სქელტანიანი არ გამოდგა. და ძირს დაჯდა, წიგნი მუხლებზე დაიდო. მაგრამ შიშს ვერ ერეოდა: ეშინოდა, ვაითუ გადავშალო და არც არაფერი არ მოხდესო.

„საჭიროა რისკის გაწევა. საჭიროა დამარცხების შიშის დაძლევა“, – გაიფიქრა ბრიდამ და გადაშალა წიგნი. და როგორც კი პირველ გვერდს შეავლო თვალი, კვლავ ცუდად შეიქნა. თავრეტი დაესხა.

„ახლა ცნობას დავკარგავ“, – ამის გაფიქრება იყო, და თვალთაც დაუბნელდა.

ბრიდა გონს სახეზე წყლის სხურებამ მოიყვანა. გულშეღონებულს ბევრი ძალზე უცნაური რამ სურათი ელანდებოდა, და ვერ გაეგო, რისი მანიშნებელი უნდა ყოფილიყო ჰაერში მოლივლივე არა ერთი და ორი დევერხინა, უზარმაზარი ტაძარი თუ ჭერიდან ძირამდის უამრავი ნაირ-ნაირი გამოცემით კედლებშეხურხლული წიგნთსაცავი. სიცოცხლეში ის ერთხელაც არ იყო ნამყოფი არც დიდსა და არც მცირე წიგნთსაცავში.

– ლონი, ცუდად ხომ არა ხარ?

დიახ, კარგად ნამდვილად ვერ იყო. მარჯვენა ფეხი წართმეული ჰქონდა, და ახსოვდა, რომ ეს ფარსაგად არ წაადგებოდა. და კრინტს არა ძრავდა, ხმის ამოღებას ერიდებოდა, ლაპარაკში სიზმარი ემანდ გულიდან არ გადამვარდესო.

– ლონი, გამოიღვიძე.

ეტყობა, სიცხეს გაეთანგა და ეს ყოველივე მოეჩვენა, ოღონდ ცოცხლად და თვალცხადლივ. თუ თავს დაანებებდნენ, ძალიანაც კარგს იზამდნენ, ყმაწვილქალს მარტოს უნდოდა ყოფნა. სიზმარი თუ ზმანება ხან ბჟუტავდა, ჟოლავდა, ხანაც ქრებოდა, მან კი ვერა და ვერ შეძლო ამ სიზმარ-ზმანების აზრის შეცნობა.

ცა ღრუბლებში იყო გახვეული, და ის ღრუბლები ციხე-დარბაზის ყველაზე უფრო მაღალი კოშკის წვერს ეხებოდნენ. ბრიდა ამ ღრუბელთ ასცქეროდა. „ვარსკვლავნი არა ჩანან – ჯანდაბას, – გაიფიქრა, – მღვდელნი ამბობენ, რომ მთლად არც ეგენი უქნია ღმერთს“.

წვიმამ მალევე გადაიღო, როგორც კი მან თვალები გაახილა. ლონი კმაყოფილი იყო: ეს იმას ნიშნავდა, რომ ავზი ციხე-დარბაზის ეზოში პირთამდე აივსებოდა წყლით. მან ნელა მოაცილა მზერა მაჯლაჯუნა ღრუბელთ და კვლავ მოიხილა კოშკი, კოცონები ეზოში და უთავბოლოდ მოყიალე ხალხის ჯგრო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-160.

– ტალბო, – ხმადაბლა წარმოთქვა მან.

ყმაწვილქალმა გულში ჩაიკრა, და მან იგრძნო ფოლადის აბჯარ-აბგრის ცივი შეხება, იგრძნო ის ნატისუსალიც, ტალბოს თმას რომ ასდიოდა.

– რა დროა გასული? დღეს რა დღეა?

– სამი დღედაღამ ცნობამიხდილი იყავი, – მიუგო ტალბომ.

ყმაწვილქალმა თვალი შეავლო და შეეცოდა: გამხდარი ჩანდა, ლოყებჩაცვივნული, სახეჩატეტკილი, თავპირგათხუნული იყო... მაგრამ ყოველივე ამას არცრა მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან ამ ყმაწვილქალს სიცოცხლეს ერჩივნა ეს ვაჟი.

– წყალი მწყურია, ტალბო.

– წყალი არ არის. ფრანგთ მიაგნეს და გადაგვიჭრეს საიდუმლო ბილიკი, რომლის წყალობითაც ჩვენები გვამარაგებდნენ.

ყმაწვილქალმა კვლავ გაიგონა ის რამდენიმე ხმა, თავში რომ გაესმოდა. ოდესღაც გაგონება არ უნდოდა, ისე სძულდნენ ეს ხმები: ქმარი როქის სპის რაინდი ჰყავდა, ის წელიწადის უმეტეს ნაწილს ლაშქრობებსა და ბრძოლებში ატარებდა, და ქმრის მომლოდინე ცოლს




სულ შიში ჰქონდა, ვაითუ ხმებმა ერთხელაც ამბავი მომიტანონ, შენი ქმარი ბრძოლის ველზე დაეცაო. და მან ისეთ რამ მოიგონა, რომ ის ხმები არ გაეგონა. – მთელი გულისყური იმ ბებერ ხეზე გადაჰქონდა, კეთილჩრდილიან და მაღალ ბორობანზე, იქვე იმათი სახლის ფანჯარას რომ მოსდგომოდა. ბებერი ბორობანი თითქოს თვითონ ნთქავდა, ყმაწვილქალის ყურამდე არ უშვებდა არც ერთ ავ ხმას.

მაგრამ ყმაწვილქალი ახლა ერთობ დაუძლურებული იყო, და ხმებმაც კვლავ იმძლავრეს.

„შენ მოკვდები, – უჭაშნიკებდნენ ხმები, – ის კი მრთელი და უვნებელი დარჩება“.

– წვიმა ხომ წამოვიდა, ტალბო, – ისევ თავისას უბნობდა ყმაწვილქალი. – წყურვილი მკლავს...

– ეგ წვიმა კი არა, ქინქლი იყო, წამოწინწკლა და მალევე გადაიღო. ვერც ვერაფერი ვერ მოვაგროვე.

ლონიმ კვლავ ღრუბლებზე გადაიტანა მზერა. ისინი მთელი კვირა თავს ემხნენ ციხე-დარბაზს, მაგრამ არცრა წვეთი არ გავარდნიათ. ის კი არა, მზეს ეფარებოდნენ, ზამთარს კიდევ უფრო ქაფათარასა ხდიდნენ, ხოლო ციხე-დარბაზს – კიდევ უფრო პირქუშსა და პირქუფრს. იქნებ კათოლიკე ფრანგნი მართალნიც არიან და მამაღმერთი ნამდვილად იმათ მხარეს იბრძვის?

ყველგან კოცონები ბურბურებდნენ, და ლონის მოეჩვენა, ქვესკნელში ვარ, ჯოჯოხეთშიო. ორიოდე სპათაგანი ეზოს იმ კუთხეში მივიდა, სადაც ისინი, ლონი და ტალბო, იყვნენ, და ერთ-ერთმა თქვა:

– მღვდელნი ყველას აგროვებენ, სპათარო.

– ჩვენ საბრძოლველად დავექირავეთ და არა იმისათვის, რომ დავიხოცნეთ, – დასძინა მეორემ.

– ფრანგთ დანებება შემოგვთავაზეს, –მიუგო ტალბომ. – გვპირდებიან, ყველას თქვენ-თქვენს გზაზე გაგიშვებთ, ვინც კვალად კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოიქცევაო.

„სრულყოფილნი მაგას არ იზამენ“, – აჩურჩულდნენ ხმები. ყმაწვილქალმა ეს თვითონაც კარგად იცოდა, კარგად იცნობდა სრულყოფილთაც – დიახაც ამათი გულისთვის იყო აქ და არა შინ, სადაც ჩვეულებრივ ელოდა ხოლმე ლაშქრად წასულ ტალბოს. სრულყოფილნი უკვე სრული ოთხი თვე ისხდნენ ამ ალყაშემორტყმულ ციხე-დარბაზში, ხოლო დიაცნი, რომელთაც დაქნილი ჰქონდათ ციხე-დარბაზის კედლებს გარეთ გამავალი საიდუმლო ბილიკი, მთელი ამ დროის განმავლობაში სასმელ-საჭმლით, ტანსაცმლითა და დენთით ამარაგებდნენ ციხე-დარბაზს, მთელი ამ დროის განმავლობაში სიყვარულს არ აკლებდნენ თავიანთ უღელტოლთ და ციხე-დარბაზი მხოლოდ ამის წყალობით იდგა ჯერ კიდევ, მაგრამ მტერმა მიაგნო ამ ვიწრო სავალს. ასე რომ დიაცნიც ციხე-დარბაზის კედლებში მოემწყვდნენ. სხვა გზა არ იყო.

ყმაწვილქალმა წამოდგომა დააპირა. ფეხი აღარ აღონებდა. ხმებმა ჩასჩურჩულეს, ეს კიდევ უფრო უარესის ნიშანიაო.

– აქაური ღმერთი ჩვენ არ გვეხება, – თქვა მეორე სპათაგანმა. – სულაც არ ვაპირებთ იმის გულისთვის თავის წაგებას.

ციხე-დარბაზიდან კანკურის, ფიცრის სარეკლის ხმა მოისმა. ტალბო წამოდგა.

– წამიყვანე, აგრემც შემოგევლები, – შეჰღაღადა ყმაწვილქალმა.

ტალბომ ჯერეთ თავის სპათაგანთ შეავლო თვალი, მერმე აკანკალებულ დიაცს, რომელიც მუხლებში ჩავარდნოდა. არა, მან, ტალბომ არ უწყოდა, რა უნდა გადაეწყვიტა, რა უნდა განეჩინებინა: სპათაგანთ, ანუ ჯარისკაცთ, რომელთაც ის მეთაურობდა, ომი უკვე ჩვევად ჰქონდათ ქცეული და იცოდნენ, რომ შეყვარებულნი მეომარნი ბრძოლის დროს ჩვეულებრივ იმალებიან.

– ვიცი, მოვკვდები, ტალბო, წამიყვანე. ერთ-ერთმა სპათაგანმა თვალი გაუსწორა ტალბოს – ამის აქ მარტო დატოვება არ ეგების, – თქვა მან. – რა იცი, რომ ფრანგნი იერიშზე არ გადმოვლენ!..

ტალბომ თავი ისე დაიჭირა, ვითომ თანახმა გაუხდა ჯარისკაცის აზრს. არადა იცოდა, რომ ფრანგნი იერიშზე არ გადმოვიდნენ, რადგან დაზავებაზე ყაბულს იყვნენ და მონსეგიურის კაპიტულაციაზე დაიწყეს მოლაპარაკება. თუმცაღა სპათაგანს ესმოდა, რა ხანძარიც უტრიალებდა თავის მეთაურს გულში და, ალბათ, არც თვითონ იმისთვის იყო უცხო სიყვარულის ცეცხლი.

„მაგან იცის, რომ უნდა მოკვდე, – თქვეს ხმებმა, სანამ ტალბოს ნაზად აჰყავდა ყმაწვილქალი ხელში. ლონი ყურს იყრუებდა, არც ერთი ხმის გაგონება არ უნდოდა და უცებ წამოაგონდა, როგორ მიჰყავდა ის ზაფხულის ერთ საღამოს ტალბოს, მაშინაც ასევე ატატებული, ამზეკაბანებულ პურის ყანაში. იმ საღამოსაც ასევე სწყუროდა, და წყურვილის მოსაკლავად ორივენი ანკარა ღელეს დაეწაფნენ, რომელსაც სათავე სადღაც ცადაწვდილ მთებში ჰქონდა.

შდანდარ დუნდგო ხალხს მოეყარა თავი კლდის ძირას, რომელ კლდესაც ეკვროდა ციხესიმაგრე მონსეგიურის დასავლეთი კედელი. აქ იყვნენ ჯარისკაცნი და ქალაქელი ხალხი – ქუდოსანიც ბევრი იყო, მანდილოსანიც და ბავშვიც. ჰაერში დაძაბული მდუმარება იგრძნობოდა, და ლონიმ იცოდა, რომ ადამიანები სამღვდელოების მიმართ პატივისცემის ნიშნად კი არა დუმდნენ, არამედ იმას შიშნეულობდნენ, რაც ვაითუ მომხდარიყო, და გასუსულნიც ამიტომ იყვნენ.

შავად მოსულნი მღვდელმსახურნი, რომელთაც გულზე ვეება ყვითელი ჯვრები ჰქონდათ ამოქარგული, კლდის ფხებზე, გარე საფეხურებზე, ჩამოსხდნენ. სხვანი პირდაპირ მიწაზე დასხდნენ კოშკთან. ვინც სულ ბოლოს გამოჩნდა, გრძელჭაღარათმიანი, კლდის წვერზე ავიდა, კინჭუხზე. ქარი ფართხუნა შავი ქლამინდის კალთებს უფრიალებდა, კოცონების ალი ლანდად, სილუეტად აჩენდა.

როდესაც ის მთის წვერს ზედ მოექცა, თითქმის ყველანი მუხლებზე დაეცნენ, ხელები აღაპყრეს, შუბლებით სამგზის ემთხვივნენ მიწას. ტალბო თავის ხალხთან ერთად ზეზე დარჩა, რამეთუ ისინი ოდენ საბრძოლველად იყვნენ მომიზდებულ-დაქირავებულნი.

– დანებება გვითხრეს, – თქვა მღვდელმა. – ვისაც სწადს, თავისუფალია, წავიდეს.

მოედანზე ქოჩად შეკრულმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

– სულნი, უკეთუ გარმიანელ ღმერთს ეკუთვნიან, ამქვეყნიურ სამეფოსა შინა დაშთებიან. სულნი, უკეთუ ჭეშმარიტ ღმერთს არიან მინდობილნი, იმისავე დაუსაბამო კეთილმოწყალებას დაეწაფებიან. ომი განახლდება, გარნა მუდმივად ვერ გაგრძელდება. რამეთუ გარმიანელი ღმერთი ბოლოსა და ბოლოს დამარცხდება. თუმცა ანგელოზთა ერთი ნაწილის შეცდენასა და გახრწნას მაინც მოასწრებს. დამარცხდება-მეთქი, ვამბობ, ოღონდ არ შეიმუსრება და დრო-ჟამის დასასრულამდე ქვესკნელს თავს ვერ დააღწევს იმ ხალხის სულთა თანა, ვინც შეცდენილი ეყოლება.

გადმოაენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

კალათბურთი

# სევდიანი მოლოდინი

**ცუდია, სხვაზე რომ ხარ დამოკიდებული, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, საკუთარი „ნაკაიკაცარით“ რომ გაიფუჭებ კარგად დაწყებულ საქმეს.**

როგორც იცით, ბრწყინვალედ აღებული სტარტის შემდეგ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის („ა“ დივიზიონი) შესარჩევი ტურნირის მეორე წრე ჩააფლავა და თბილისის სპორტის სასახლეში ბელგიელებთან ფიასკოთი დასრულებული ბრძოლის შემდეგ ფინალურ ეტაპზე გასვლის თეორიულ შანსსღა ინარჩუნებდა, თუმცა მეშვიდე ტურის შეხვედრების შედეგებმა იგი კიდევ უფრო შეამცირა და, თუ ობიექტურნი ვიქნებით, თითქმის აღარც დაგვიტოვა. არადა, ეს ის შემთხვევაა, ვერავის რომ ვერ გავამტყუნებთ.



უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენი გუნდის უმთავრესი კონკურენტი ისრაელი უმოტივაციო ფინეთს მასპინძლობდა და, წესით და რიგით, არ უნდა გასჭირვებოდა მორიგი გამარჯვების მოპოვება. ეტყობა, აღთქმული მიწის შვილებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს მეტოქის შესაძლებლობები, უმარილოდ დაიწყეს მატჩი და პირველი პერიოდი 13:22 დათმეს.

ფავორიტი მხოლოდ ამის შემდეგ მოეგო გონს, დიდ შესვენებამდე ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა – 32:33, ხოლო მეორე ნახევარში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია – 85:71.

ბუნებრივია, „ჯვაროსნებმა“ შეიტყვეს თელ-ავივში მათთვის არასასურველი სცენარით განვითარებული მოვლენების შესახებ და ისე ჩაებნენ პორტუგალიელებთან პატარა ქალაქ ფაფის კოპწია დარბაზში გამართულ უკანასკნელი იმედის დუელში. იცით, რატომ უკანასკნელში?

ვიდრე თურქი მსაჯი მოედნის ცენტრში სადავო გდებას შეასრულებდა, ისრაელელებს ჩვენთან შედარებით ბურთების გაცილებით უკეთესი შეფარდება ჰქონდათ: +81(!), რომლის აღმოფხვრაც, დაგვეთანხმებით, ზღაპარს ჰგავს.

დაუმატეთ ამას, თუ ჩვენებურთა ბანაკიდან გამოჟონილ ინფორმაციას დავუჯერებთ, იგორ კოკოშკოვის საკადრო პოლიტიკით უკმაყოფილო რამდენიმე მისი შეგირდის ბუნტისთავობის მცდელობა და დარწმუნდებით, რომ ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებად გვქონდა.

საბედნიეროდ, საგანგაშო მოლოდინი არ გამართლდა, თუმცა არც ერთი შეხედვით იოლი წარმატებით ტრაბახი გვმართებს – დაუსწრებელ ბრძოლაში ხომ ისრაელის გუნდს 58-ქულიანი ჰანდიკაპი აქვს, წინ კი თითო-თითო შეხვედრაა, რომელსაც ჩვენი კონკურენტი ხვალ ჩერნოგორიაში გამართავს, ხოლო საქართველო შინ – ბულგარეთთან.

რაც შეეხება პირენეებზე გადატანილი ბრძოლის (დიახ, ბრძოლის, რადგან მასპინძლები ჩვენებურთა ზეხისტი მეურვეობისას არც ჭიდაობის ილეთების გამოყენებას თაკილობდნენ) სათამაშო ნიუანსებს, ვფიქრობთ, აღსანიშნავია ბიჭების საიმედო გარჯა დაცვაში, თუმცა, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი ხშირად გაუმართლებლად ცდილობდნენ იერიშების სწრაფად დაგვირგვინებას, თორემ, დარწმუნებულნი ვართ, გაცილებით სოლიდური სხვაობით დაარჩოქებდნენ მოწინააღმდეგეს.

**პორტუგალია – საქართველო 57:80.**

**საქართველო:** ფაჩულია – 18, სანიკიძე – 13, ცქიტიშვილი – 12, გრინი – 12, შენგელია – 8, ცინცაძე – 7, შერმადინი – 5, გამყრელიძე – 3, ბოისა – 2 ქულა.

თბილისური მატჩის მსგავსად, პორტუგალიელთაგან ყველაზე შედეგიანად ამჯერადაც მირანდამ იასპარეზა – 20 ქულა, მაგრამ მან კიდევ სამ პარტნიორთან ერთად 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო ნაადრევად დატოვა სარბიელი. მათმა ტრავმირებულმა ლიდერებმა ევანსმა და მინავამ საერთოდ ვერ შეძლეს თამაში.

**ბულგარეთი – ბელგია 92:81.**

მოვლენის წინ

# ოსმალური რაფსოდია

**დღეს ჩვენს სამეზობლოში დიდი მოვლენა იწყება – თურქეთი კალათბურთელ ვაჟთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს.**

დამდეგ ფორუმს, ტრადიციისამებრ, თავისი ფავორიტები ჰყავს მუდამ ამბიციური ამერიკელების, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონების – ესპანელებისა და ოლიმპიური ჩემპიონების – არგენტინელების სახით, თუმცა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, თითო-ოროლა სენსაციას ოსმალები, ლიტველები, გერმანელები, ბერძნები და ექს-იუგოსლავებიც შემოგვთავაზებენ.

რაც შეეხება ცალკეულ ვარსკვლავებს, ნბა-ს წარმომადგენლების კობი ბრაიანტის, ლებრონ ჯეიმსის (აშშ), პაუ გაზოლისა (ესპანეთი) და მანუ ჯინობილის (არგენტინა) არყოფნის მიუხედავად, მათი სიმცირე მაინც არ იქნება, ამით კი, უპირველესად, ტურნირის სანახაობრივი მხარე და გულშემატკივარი მოიგებს.

ჯგუფური ბატალიების კალენდარი კი ასეთია:

**„ა“ ჯგუფი. ქაისერი.** ანგოლა, არგენტინა, ავსტრალია, გერმანია, იორდანია, სერბეთი.

**28 აგვისტო.** არგენტინა – გერმანია, სერბეთი – ანგოლა, ავსტრალია – იორდანია.

**29 აგვისტო.** არგენტინა – ავსტრალია, იორდანია – ანგოლა, სერბეთი – გერმანია.

**30 აგვისტო.** არგენტინა – ანგოლა, ავსტრალია – გერმანია, სერბეთი – იორდანია.

**1 სექტემბერი.** არგენტინა – იორდანია, გერმანია – ანგოლა, სერბეთი – ავსტრალია.

**2 სექტემბერი.** არგენტინა – სერბეთი, გერმანია – იორდანია, ავსტრალია – ანგოლა.

**„ბ“ ჯგუფი. სტამბოლი.** ბრაზილია, ხორვატეთი, ირანი, ტუნისი, სლოვენია, აშშ.

**28 აგვისტო.** აშშ – ხორვატეთი, ბრაზილია – ირანი, სლოვენია – ტუნისი.

**29 აგვისტო.** აშშ – სლოვენია, ბრაზილია – ტუნისი, ხორვატეთი – ირანი.

**30 აგვისტო.** აშშ – ბრაზილია, ხორვატეთი – სლოვენია, ტუნისი – ირანი.

**1 სექტემბერი.** აშშ – ირანი, ბრაზილია – სლოვენია, ხორვატეთი – ტუნისი.

**2 სექტემბერი.** აშშ – ტუნისი, ბრაზილია – ხორვატეთი, სლოვენია – ირანი.

**„გ“ ჯგუფი. ანკარა.** ჩინეთი, კოტ დივუარი, საბერძნეთი, რუსეთი, პუერტო-რიკო, თურქეთი.

**28 აგვისტო.** თურქეთი – კოტ დივუარი, საბერძნეთი – ჩინეთი, რუსეთი – პუერტო-რიკო.

**29 აგვისტო.** თურქეთი – რუსეთი, საბერძნეთი – პუერტო-რიკო, ჩინეთი – კოტ დივუარი.

**31 აგვისტო.** თურქეთი – საბერძნეთი, რუსეთი – კოტ დივუარი, ჩინეთი – პუერტო-რიკო.

**1 სექტემბერი.** თურქეთი – პუერტო-რიკო, საბერძნეთი – კოტ დივუარი, რუსეთი – ჩინეთი.

**2 სექტემბერი.** თურქეთი – ჩინეთი, საბერძნეთი – რუსეთი, პუერტო-რიკო – კოტ დივუარი.

**„დ“ ჯგუფი. იზმირი.** ესპანეთი, ლიტვა, საფრანგეთი, კანადა, ახალი ზელანდია, ლიბანი.

**28 აგვისტო.** ესპანეთი – საფრანგეთი, ლიტვა – ახალი ზელანდია, კანადა – ლიბანი.

**29 აგვისტო.** ესპანეთი – ახალი ზელანდია, ლიტვა – კანადა, საფრანგეთი – ლიბანი.

**31 აგვისტო.** ესპანეთი – ლიტვა, საფრანგეთი – კანადა, ახალი ზელანდია – ლიბანი.

**1 სექტემბერი.** ესპანეთი – ლიბანი, ლიტვა – საფრანგეთი, კანადა – ახალი ზელანდია.

**2 სექტემბერი.** ესპანეთი – ჩინეთი, ლიტვა – ლიბანი, საფრანგეთი – ახალი ზელანდია.

ფეხბურთი

# საფიქრალი არ გველევა

**ერთ კვირაში ბერძნებთან გასვლითი მატჩით საქართველოს ეროვნული ნაკრები „ევრო-2012“-ის შესარჩევ ციკლს იწყებს, თუმცა მთელ რიგ ლეგიონერთა არაოპტიმალური კონდიციები „ჯვაროსანთა“ ქომაგებს ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად გვაძლევს.**

მათ შორისაა თემურ ქეცბაიას გუნდის დაცვის ერთ-ერთი ბურჯი მალხაზ ასათიანი, რომელიც მოსკოვის ლოკომოტივთან ერთად სამარცხვინოდ გამოეთიშა ევროპის ლიგის გათამაშებას.



მას შემდეგ, რაც ერთი კვირის წინათ რკინიგზელები სტუმრად შვეიცარიის ჩემპიონატის მეორე ლიგის წარმომადგენელს ლოზანას დაუზავდნენ 1:1, იური სიომინის შეგირდთა პერსპექტივა – ჯგუფური ეტაპის საგზური მოეპოვებინათ, სავსებით რეალური ჩანდა, მაგრამ რუსეთის დედაქალაქში განვითარებულმა მოვლენებმა პროგნოზები თავდაყირა დააყენა, რაშიც წვლილი, სამწუხაროდ, ჩვენს თანამემამულესაც მიუძღვის.

ჯერ იყო და შეტევაში ჩართულმა უკან დროულად დაბრუნება ვერ მოასწრო, რის შედეგადაც მეტოქის ელვისებური კონტრიერიში კინაღამ გოლით დასრულდა – ამ ეპიზოდში მასპინძლები ბრაზილიელმა მეკარე გილიერმემ იხსნა, რომელმაც მასთან პირისპირ გასულ სილვიოს მოუგო დუელი, თუმცა მალე ამ უკანასკნელმა მოსახდენი მაინც მოახდინა. მან პარტნიორის მიერ ჩამოწოდებული მორიგი კუთხურისას პოზიციური ბრძოლა მოუგო ქართველ მეურვეს და ანგარიში ზუსტი თავური დარტყმით გახსნა – 1:0.

ბუნებრივია, ასეთი „იაღლიშების“ შემდეგ მწვრთნელმა „ასკა“ შეცვალა, თუმცა პენალტების სერიაში მისი კლუბი მაინც გამოეთიშა ტურნირს – 3:4 (1:1).

**დანარჩენი შედეგები:** აუსტრია – არისი 1:1 (0:1), ჰიკი – ბეშიქთაში 0:4 (0:2), ეინდჰოვენი – სიბირია 5:0 (0:1), მარიტიმუ – ბატე 1:2 (0:3), მაკაბი – პარი სენ-ჟერმენი 4:3 (0:2), ტავრია – ლევერკუზენი 1:3 (0:3), ანორთოსისი – ცსკა (მოსკოვი) 1:2 (0:4), ასტონ ვილა – რაპიდი 2:3 (1:1), შტუტგარტი – სლოვანი 2:2 (1:0), მეტალისტი – ომონია 2:2 (1:0), ლიტექსი – დებრეცენი 1:2 (0:2), ლილი – ვასლუი 2:0 (0:0), ლევსკი – აიკი 2:1 (0:0), ლეხი – დნეპრო 0:0 (1:0), მოზერუელი – ოდენსე 0:1 (1:2), გენტი – ფეიენოორდი 2:0 (0:1), გრასხოპერსი – სტიაუა 1:0 (0:1, პენალტებით – 3:4), კარპატი – გალათასარაი 1:1 (2:2), უნირეა – ჰაიდუკი 1:1 (1:4), პორტუ – გენკი 4:2 (3:0), მარიბორი – პალერმო 3:2 (0:3), დინამო (მინსკი) – ბრიუგე 2:3 (1:2), ლანსტანფრეიდი – ცსკა (სოფია) 2:2 (0:3), ფენერბახჩე – პაოკი 1:1 (დ. დ., 0:1), ტრაბზონსპორი – ლივერპული 1:2 (0:1), უტრეხტი – სელტიკი 4:0 (0:2), სიტი – ტიმიშოარა 2:0 (1:0), ელფსბორგი – ნაპოლი 0:2 (0:1), აპოელი – ხეტაფე 1:1 (დ. დ ., 0:1), აეკ – დანდი 1:1 (1:0), აქტობე – ალკმაარი 2:1 (0:2), დინამო (ზაგრები) – დიერი 2:1 (2:0), ყარაბახი – ბორუსია 0:1 (0:4), იუვენტუსი – შტურმი 1:0 (2:1), ბრონდბიუ – სპორტინგი 0:3 (2:0), მოგილიოვი – ვილიარეალი 1:2 (0:5).

ჩემპიონთა ლიგა

# როლები შეიცვალა



**მოგეხსენებათ, შარშან მონაკოს „გრიმალდი ფორუმში“ გამართულ სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალზე ინდივიდუალური პრიზები მაშინდელი ტრიუმფატორის – „ბარსელონას“ ვარსკვლავებმა „მოხვეტეს“. წლეულს კონტინენტის ახალი საკლუბო ჩემპიონის მილანის ინტერის ჯერი დადგა – აწ უკვე ყოფილი თავკაცის ჟოზე მაურინიუს შეგირდებმა ყველა ნომინაციაში დაჯაბნეს კონკურენტები.**

**მეკარე** – ჟულიუ სეზარი.

**მცველი** – მაიკონი.

**ნახევარმცველი** – ვესლი სნეიდერი.

**თავდამსხმელი** – დიეგო მილიტო.

ამ უკანასკნელსვე გადაეცა წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი „ოქროს ბურთი“. დაგვეთანხმებით, მასზე ალალია აღნიშნული ჯილდო – სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში მიუნხენის ბაიერნთან შესრულებული „დუბლი“ რად ღირს. საკითხავი მხოლოდ ის არის, სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე რატომ არ გამოინახა ადგილი მრისხანე ბომბარდირისთვის მის მშობლიურ არგენტინის ნაკრებში.

ეს ისე, სხვათა შორის, საერთოდ კი კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თანამედროვე საფეხბურთო სამყაროში აღლუმი თვითნაბად სამხრეთამერიკელ ტალანტებს მიჰყავთ – რჩეულთაგან მხოლოდ ჰოლანდიელმა სნეიდერმა შეუნარჩუნა პრესტიჟი ევროპელებს.

გალა-წარმოდგენის კულმინაცია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის კენჭისყრა გახდა, რომელშიც სხვადასხვა თაობის ცოცხალი ლეგენდები მონაწილეობდნენ. გაუწყებთ მის შედეგებს:

**„ა“ ჯგუფი – ინტერი, ვერდერი, ტოტენჰემი, ტვენტე.**

**„ბ“ ჯგუფი – ლიონი, ბენფიკა, შალკე, ჰაპოელი.**

**„გ“ ჯგუფი – მანჩესტერი, ვალენსია, რეინჯერსი, ბურსასპორი.**

**„დ“ ჯგუფი – ბარსელონა, პანათინაიკოსი, კოპენჰაგენი, რუბინი.**

**„ე“ ჯგუფი – ბაიერნი, რომა, ბაზელი, კლუჟი.**

**„ვ“ ჯგუფი – ჩელსი, მარსელი, სპარტაკი, ჟილინა.**

**„ზ“ ჯგუფი – მილანი, რეალი, აიაქსი, ოსერი.**

**„თ“ ჯგუფი – არსენალი, შახტარი, ბრაგა, პარტიზანი.**

**საყოველთაო აღიარებით, სიკვდილის ჯგუფად „ზ“ კვარტეტი უნდა შეფასდეს, თუმცა თავგადასავლის მაძიებელი გულშემატკივარი, ვფიქრობთ, ვერც „ა“ ჯგუფს დაუწუნებს ინტრიგას.**

**გვერდი მოამზადა გია პლატონიშვილმა**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის სექტორის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში კოლეგასა და მეგობარს, საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის პრეს-ატაშეს გიგა გვენცაძეს მამის**

**ალექსანდრე გვენცაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## M15-ის საიდუმლო დოკუმენტები



# ჩერჩილი ხელისუფლების აღმასვლაში შეიძლება რუს ჯაშუშს უნდა უმადლოდეს

**ბრიტანულმა კონტრდაზვერვა M15-მა გამოაქვეყნა საიდუმლო საარქივო დოკუმენტები, საიდანაც ირკვევა, რომ თავისი კარიერის აღმასვლაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ვალშია რუსული წარმომავლობის ნაცისტურ ჯაშუშთან მარინა ლისთან. ზოგიერთი მონაცემებით, 1940 წლის გაზაფხულზე ყოფილი ბალერინა შეიძლება შეპარულიყო ნორვეგიაში მოკავშირეების შტაბ ბინაში და გერმანელებისთვის გადაეცა საიდუმლო დოკუმენტები.**

ამ ოპერაციის შედეგი გახდა ინგლის-საფრანგეთის კორპუსის მძიმე დამარცხება ვერმახტთან ბრძოლაში, ბრიტანეთის მთავრობის გადადგომა და კოალიციური კაბინეტის სათავეში ჩერჩილის მოსვლა, იტყობინება ბი სი. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ მოკავშირეების დამარცხებაში პასუხისმგებლობა ეკისრებათ გენერლებს, რომლებმაც არასწორად ააგეს ბრძოლის სტრატეგია. მაგრამ უკვე 1942 წელს პირველად ამოტივტივდა მარინა ლის სახელი და ცხადი გახდა, რომ საქმე მხოლოდ სამხედროების შეცდომა არ ყოფილა.

— ჩერჩილის სახელი ფიგურირებს ბევრ გამოკვლეულ დოკუმენტში.

— უშიშროების ფედერალური სამსახურიც ზოგჯერ აქვეყნებს კონტრდაზვერვის მასალებს.

მარინა ლის შესახებ ცნობილი გახდა 1942 წელს გადაბირებული გერმანელი აგენტის ჰერტ ვან ვიიკისგან, ვისაც რუსის ჯაშუშობის ისტორია აცნობა მეორე აგენტმა — მისი გვარია ფონ ფინკენშტეინი. ვიიკის მიერ გადმოცემული ვერსიით, იმ კორპუსის გეგმების დაზვერვისთვის, რომელსაც სათავეში ედგა ბრიტანელი გენერალი კლოდ ოკინლეკი, გერმანიის დაზვერვამ მოკავშირის შტაბში ნორვეგიის ქალაქ ტრომსში შეგზავნა ქალი, რომელიც მოგზაურობდა შვედური პასპორტით. რუსული წარმომავლობის ქალი, თვითმხილველების შთაბეჭდილებით, იყო გასაოცრად ლამაზი — მაღალი, ნატურალური ქერა, შესანიშნავი ფიგურითა და გამორჩეული მანერებით. გერმანელებისთვის რუსი ჯაშუშის მიერ მოპოვებულმა ცნობებმა მოკავშირეების გეგმების შესახებ საშუალება მისცა მათ გადაეჯგუფებინათ თავდაცვა და გაემარჯვათ ოკინლეკზე ნარვიკთან ბრძოლაში ნორვეგიის ჩრდილოეთით. როგორც „ინოპრესა“ ბრიტანული გაზეთის „ტაიმსზე“ მითითებით წერს, ბრიტანული ჯარების განადგურებამდე 1940 წლის მაისში ნარვიკში ალყაში მოქცეული გარნიზონის კომენდანტი თავისი ჯარების შვედეთში გაყვანასაც კი აპირებდა. „მომხიბლავი“ მარინა ლის დახმარებით მოპოვებული ცნობების წყალობით ნაცისტებზე შეტევის ბრიტანულმა გეგმამ შეცვალა სიტუაცია თავის სასარგებლოდ. 10 ივნისს ნორვეგიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

ჰერტ ვან ვიიკის სიტყვებით, ჯაშუშს ერქვა მარინა ალექსის ასული ლი და სპეცოპერაციის მომენტისთვის იგი გათხოვილი იყო. მარინას მშობლებმა თითქოს დახოცეს ბოლშევიკები, თავად იგი კი 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთიდან ემიგრაციაში წავიდა სკანდინავიაში, სადაც მისთხოვდა ნორვეგიელ ინჟინერს ეინერ ანდერს ლის. ოსლოში ერთხანს იგი საბალეტო სკოლას ხელმძღვანელობდა. მისი ნაცნობების სიტყვებით, მარინა ლის შეეძლო და უყვარდა კიდეც კარტებით მკითხაობა.

იმავე 1942 წელს ვიიკის მონათხრობი რუსი ჯაშუშის არსებობის შესახებ დაადასტურა ტყვედ ჩავარდნილმა გერმანელმა აგენტმა ჰანსენმა, რომელიც, როგორც ვიიკი იმყოფებოდა ბრიტანულ ცენტრ „ბანაკ-020“-ში.

ომის ბოლოს კიდევ ერთმა გერმანელმა აგენტმა სახელად ჯონ დოლარმა, განუცხადა დაკითხვის დროს ფრანგულ დაზვერვას, რომ ასევე იცნობდა მარინა ლის. დოლარის სიტყვებით, გათხოვებამდე მარინა ატარებდა გუბანოვას გვარს. ის ბოლშევიკებს არ გაქცევია, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს სწავლობდა ბალეტს მოსკოვში და გადიოდა ევროპაში საგასტროლოდ. ამას გარდა იგი პირადად იცნობდა სტალინს და სსრ კავშირის სხვა ხელმძღვანელებს.

დოლარის მონაცემებით, მარინას ქმარი იყო ნორვეგიელი კომუნისტი, ცოლ-ქმარმა ქორწინებიდან ძალიან მალე შეწყვიტეს ერთად ცხოვრება, მაგრამ მარინა მაინც გადავიდა ნორვეგიაში. და, აგენტის სიტყვებით, 30-იან წლებში უარი თქვა თავის კომუნისტურ რწმენებზე. როგორც დოლარი ირწმუნებოდა, ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის დროს მარინა ლი გადაიბირა გერმანიის სამხედრო დაზვერვამ „აბვერმა“, და იგი ასრულებდა მთელ რიგ დავალებებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვერმახტისთვის.

როგორც M15-მა შეძლო დაედგინა, ორმოციან წლებში გესტაპომ მარინა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაგზავნა, რათა მას მოეპოვებინა ცნობები ანტიჰიტლერული კოალიციის ოფიცრების შესახებ. როგორც ჩანს, ის ესპანეთში დარჩა ომის ბოლომდე. გასაიდუმლოებული დოსიეს თანახმად, საჯაშუშო საქმიანობისთვის ლის უხდიდნენ 5 000 ლესეტს თვეში.

1947 წელს ბრიტანეთის დაზვერვამ დიდი ბრიტანეთის საზღვაო და საჰაერო ნავსადგურებს გადასცა ცნობები იმის შესახებ, რომ საქმის კურსში ჩაეყენებინათ M15 იმ შემთხვევისთვის, თუ მარინა შეეცდებოდა ქვეყანაში შემოსვლას. ეჭვი ჰქონდათ, რომ იგი გადაიბირეს ნაცისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ და მისი შესაძლო ფხიანი ოვაში სსრ კავშირის სასარგებლოდ ომის შემდეგ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დაახლოებით 3 წლის განმავლობაში M15-ის აგენტები ცდილობდნენ გაჰყოლოდნენ მოცეკვავის კვალს. მაგრამ ეს მათ მაინც ვერ შეძლეს.

## ალიან-ჩალიანი

### გაშენდება კავკასიური ფიჭვის ტყე

ფარავნის ტბის ირგვლივ კავკასიური ფიჭვის ტყის კორომი გაშენდება. ინიციატივა ეკოლოგიური ტურიზმისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის.

ტყის კორომის გაშენება სექტემბრის თვის მეორე ნახევარში დაიწყება და ოქტომბრის ბოლომდე ტბის შემოგარენში 5000 ძირი კავკასიური ფიჭვი დაირგვება.

განაშენიანების აქციაში, სამინისტროს სანერგე მეურნეობის თანამშრომლებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება და ტყის მოვლა-პატრონობაზეც თავად იზრუნებენ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გოგა ხაჩიძე სამცხე-ჯავახეთის რეგიონს სტუმრობდა, სადაც დაბა ფოკაში ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერა.

მკაცრი კლიმატური პირობების გამო, ფარავნის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთადერთი ჯიში — კავკასიური ფიჭვი ხარობს.

### დააკავეს მექრთამეები

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქვემო ქართლის რეგიონში გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აივაზ ისმაილოვი, რომელმაც მიწის ნაკვეთის პრივატიზებაში დახმარების სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით გამოსძალა 6 000 ლარი.

ასევე ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ქამრან მუსაევი და სოფელ ოროზმანის რწმუნებული ფახრატ კურბანოვი, რომლებიც ყალბი დოკუმენტების გაცემის სანაცვლოდ მოქალაქეებს სისტემატურად სძალავდნენ ქრთამს. ისინი დაკავებული იქნენ 300 ლარის აღების ფაქტზე.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ჯი-ეიჩ-ენი

აკადემიკოს კ. ჩაჩავას სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკის კოლექტივი გამოხატავს ღრმა მწუხარებას ინსტიტუტის ახალშობილთა განყოფილების ექიმ-ნეონატოლოგის, მედიცინის დოქტორ მარიკა პეტრიაშვილის სიძის
გიორგი (გიაძ ჭიჭინაძის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები სექტემბერში



**მინიმუმების დღეები გრაფიკით: 6-ში, 7-ში, 12-ში, 13-ში, 18-ში, 19-ში, 26-ში 29-ში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება, ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დღეები.**

**დაძაბული დღეებია: 1(21-23), 8 (14-16), 9 (17-22), 11 (08-10), 15 (09-11), (21-23), 16 (05-08), 20 (17-19), 23 (09-13)**

**სექტემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1-4, 8-11, 15-16, 20-24, 27, 30. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

**1 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები.** არ არის გამორიცხული ბრონქების, ფილტვების, ხელის და მხრების სისხლძარღვთა დაავადებების გაძლიერება, ნერვული მოშლილობა. სასარგებლოა სასუნთქი ვარჯიშები, აბანო, სუფთა ჰაერზე ყოფნა. ხელსაყრელი დროა ხანმოკლე მოგზაურობებისთვის.

**8 — ახალი მთვარე, მთვარის პერიგეი, მთვარე-მერკურის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, უყურადღებობა, გაღიზიანება, არ არის გამორიცხული მსხვილი და წვრილი ნაწლავების დაავადებათა გამწვავება, კუჭ ნაწლავთა ტრაქტი, ერიდეთ გონებრივ და ფიზიკურ გადატვირთვებს, გაციების დაავადებებს, კვებით მოწამვლებს, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას, ფრთხილად იყავით ტრანსპორტში მგზავრობის დროს. ახალი საქმეების წამოწყება არ ღირს.



**9 — მთვარე-სატურნის შეერთება, დაძაბული მთვარის ასპექტები**. არ არის გამორიცხული ძვლისა და სისხლძარღვთა ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, კანის დაავადებანი. ერიდეთ გაციებას, ინფექციურ დაავადებებს, ეცადეთ ცუდ ხასიათზე არ მოხვიდეთ, რეკომენდებულია რაციონიდან ამოვიღოთ ცხარე და მარილიანი კერძები, ალკოჰოლი, ეცადეთ არ გადატვირთოთ თირკმელები, შარდის ბუშტი. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება.

**11 — მთვარის შეერთება მარსთან და ვენერასთან.** შესაძლებელია, მიდრეკილება უკიდურესობისაკენ, იმპულსური რეაქციები, ემოციურმა გადაღლამ შეიძლება გამოიწვიოს თავის ტკივილი და ცუდი ძილი. შესაძლებელია თავის, ყელ-ყურის, სასქესო ორგანოების, საშარდე ბუშტისა და მახლობელი ორგანოების დაავადებათა გამწვავება, შეშუპება, რეკომენდებულია მიმართოთ ექიმს შარდის გამოყოფის დარღვევების პროცესთან დაკავშირებით, შეეცადეთ არ მიიღოთ ცხარე და ცხიმიანი საკვები. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებას, ალკოჰოლს, კონფლიქტურ სიტუაციებს, ემოციურ აფეთქებებს, შეასრულეთ ფიზიკური ვარჯიშები, იქონიეთ საქმე ხელოვნებასთან, მორთეთ საკუთარი თავი და სახლი.

**15 — მთვარის პირველი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არ არის გამორიცხული ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებათა გამწვავება, ტკივილები თეძოს არეში. ერიდეთ ტრავმატიზმს, ნუ აჩქარდებით, ერიდეთ ცხარე და ცხიმიან საკვებს. ანთებით და გაციების დაავადებებს, კარგია სასუნთქი ვარჯიშები, მასაჟი, ორგანიზმის გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, სასურველია უფრო მეტ ხანს ვიყოთ სუფთა ჰაერზე, ვერიდოთ დავებსა და კონფლიქტებს.

**16 — მთვარე-პლუტონის შეერთება, მთვარის აღმავალი კვანძი.** შესაძლებელია ძლიერი ემოციური აფეთქებები განწყობილებაში. არ არის გამორიცხული ენდოკრინული და სექსუალური მოშლილობა, სასქესო სისტემის დაავადებანი, ხერხემლის დაავადების გამწვავება, კბილის ტკივილი, რეკომენდებულია კონტროლი გავუწიოთ საკუთარ ემოციებს, არ ავწიოთ სიმძიმეები, ვერიდოთ გაციებასა და ტრავმატიზმს, განსაკუთრებით გაუფრთხილდით მუხლებსა და ხერხემალს. სასარგებლოა კანის მოვლა და გამაჯანსაღებელი პროცედურები.

**20 — მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** შეიძლება შეინიშნებოდეს ფსიქიკური მოშლილობის გამწვავება, თვალების დაავადებანი, ტრომბოფლებიტი. შესაძლებელია მხედველობის დროებითი გაუარესება. გაზრდილია მგრძნობიარობა სამკურნალო საშუალებებისა და ალკოჰოლიზმისადმი. რეკომენდებულია არ გადატვირთოთ თვალები და ფეხები. ერიდეთ კონფლიქტებს, ტრავმატიზმს, სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას, მოტყუებას, ძარცვას, ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლასა და ალკოჰოლს. სასარგებლოა ფიზიკური ვარჯიშები, ინტელექტუალური შრომა.

**23 — მთვარე გადადის სასწორის ნიშანში, მთვარის იუპიტერთან და ურანთან შეერთება, გაზრდილია ტრავმების, ავარიული სიტუაციების, ინფექციური დაავადებების, შეშუპების ალბათობა.** არ არის გამორიცხული ღვიძლის დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ტერფებში, თავის ტკივილი, ძილის დარღვევა, რეკომენდებულია უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ალკოჰოლზე და ყავაზე, არ გადავტვირთოთ ფეხები, სასარგებლოა ზომიერი სეირნობა სუფთა ჰაერზე, მახლობლებთან ურთიერთობა.

## დღესასწაული

# 28 აგვისტოს მარიამობაა

## მიძინება ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა



**28 აგვისტოს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.**

...ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრება ღვთის მადლით იყო გაბრწყინებული. მოციქულთა მსგავსად, დედა ღვთისმშობელი სიტყვითა და ლოცვით განამტკიცებდა ქრისტიანულ ეკლესიას.

ცნობილია, რომ ქრისტიანები მარიამ ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვას, საქმეს იმახსოვრებდნენ. მათ ქალწული მარიამის ხასიათისა და გარეგნობის აღწერაც კი შემოგვინახეს...

გადმოცემით დედა ღვთისამ, როცა შეხედა თავის გამოსახულებას, თქვა: „მადლი და წყალობა ძისა ჩემისა ახლავს ამ ხატს".

...ქრისტეს ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს, 28 აგვისტოს მიიძინა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა.

ყოვლადწმინდა სამების შემდეგ იდიდება ღვთისმშობელი მარიამი ქრისტიანულ სამყაროში, რადგანაც იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესი და სერაფიმებზე აღმატებულია.

ჩვენი დედაეკლესიაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ყოვლადწმინდა ქალწულს.

უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის შობა, მიძინება და მისი ტაძრად მიყვანება – უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

**28 აგვისტო**

**მიძინება ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მარიამობა. სიონობა.**

**თაყვანისცემა ღმრთისმშობლის ხატთა: აწყურისა, გაენათისა, წილკნისა, მეტეხისა, ქვაბთახევისა, მოზდოკისა, ვლაქერნისა და სხვათა.**



**ამოდის 05.10**
**ჩადის 18.41**



**ამოდის 19.53**
**ჩადის 08.53**

### დაიბადნენ:

**1749 – იოჰან ვოლფგანგ გოეთე,** გერმანელი მწერალი, პოეტი, მოაზროვნე. გარდაიცვალა 1832 წელს.
**1836 – ბრედ ჰარტი,** ამერიკელი მწერალი.
**1877 – ჩარლზ სტიუარტ როლსი,** ინგლისელი ავტომობილისტი, ავიატორი.
**1901 – კალისტრატე სალია,** ქართველი ისტორიკოსი, ქართველოლოგი. მის ნაშრომს „ქართული ენის ისტორია" საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა.
**1909 – მიხეილ ვაშაკიძე,** ასტროფიზიკოსი, პროფესორი. გარდაიცვალა 1956 წელს.
**1918 – ნათელა იანქოშვილი,** ფერმწერი და გრაფიკოსი.
**1918 – შოთა რაზმაძე,** სამრეწველო ელექტრონიკის ფუძემდებელი საქართველოში, პროფესორი.
**1919 – ნინო ყაუხჩიშვილი,** პროფესორი.
**1922 – მარიამ ლორთქიფანიძე,** ისტორიკოსი, აკადემიკოსი.
**1928 – ნიკოლოზ ვახანია,** მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

### გარდაიცვალნენ:

**1646 – ფულვიო ტესტი,** იტალიელი პოეტი.
**1943 – ბორის III,** ბულგარეთის მეფე.
**1979 – კონსტანტინ სიმონოვი,** რუსი მწერალი.
**1987 – ჯონ ჰიუსტონი,** ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი.

### მოვლენები:

**476 წელი** – დასავლეთ რომის იმპერია დაეცა.
**1619 წელი** – ფერდინანდ II აირჩიეს წმინდა რომის იმპერიის იმპერატორად.
**1914 წელი** – ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა ბელგიას.
**1916 წელი** – გერმანიამ ომი გამოუცხადა რუმინეთს.
**1924 წელი** – ჭიათურაში დაიწყო და მთელ საქართველოს მოედო ანტიბოლშევიკური აჯანყება.
**1916 წელი** – იტალიამ ომი გამოუცხადა რუმინეთს.
**1941 წელი** – გააუქმეს ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკა და ყველა გერმანელი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში გადაასახლეს.
**1945 წელი** – ამერიკის ჯარები, გენერალ ჯორჯ მარშალის მეთაურობით, იაპონიაში გადასხდნენ.
**1968 წელი** – ჩეხოსლოვაკიის ნაციონალურმა კრებამ უკანონოდ გამოაცხადა საბჭოთა ჯარების შეჭრა ქვეყანაში.
**1996 წელი** – პრინცი ჩარლზი და პრინცესა დაიანა განქორწინდნენ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**იორდანია** – არაბული ალორძინების დღე.
**ჰონკონგი** – განთავისუფლების დღე.

**მელიანიუსი**

## გზადაგზა ნაპოვნი სურათები

### მარიამობა

დაქალებულა მარიამი, დამშვენებულა, სხეული შევსებია... ხორბლისფერი სახე... ხორბლისფერი თმა... დიდრონი, ზურმუხტისფერი თვალები...

გვერდით ბებო მოჰყვება – მთელ უბანში ცნობილი ქალი, მისი შიშით კანკალებს წყალკანალის, გაზის, თელასის ხელმძღვანელობა... თუ რაიმე საქმე გამოჩნდა, ის მეთაურობს მამაკაცებს. ათასნაირი ხილით სავსე კალათა მოაქვს კატუშას, მარიამი ხელს აშველებს, მეორე ხელით პური უჭირავს. ტროტუარზე ყვინჩილა ბიჭები დგანან. „ე... ეს ნახე, ტო!.." – თითქოს პირველად ხედავდნენ მარიამს. „მარიამობას გილოცავთ, მარი!..."

„მაადლობთ!" „მაადლობთ!" – კეკლუცობს მარიამი.

„სად ისვენებდი?"

„ურეკში!"

ერთ-ერთი გამოეყოფა ბიჭებს, ქალებთან მიირბენს, კატუშას კალათას წაეტანება.

„ნუ წუხდები, ბებო, მოვედით უკვე!..."

„მარი, ჩამოხვალ?" ... – გოგონას გადაულაპარაკებს ბიჭი.

„ჰო... ვნახოთ!" – თან შიშნარევი თვალებით ბებოს გახედავს მარიამი.

### საბა

ახალგაზრდა ქალს მუხლებზე უზის სამიოდე წლის ოქროსფერთმიანი ბუთხუზა ბიჭი და დროდადრო ტუჩებით ყურისძირში ეფერება. გვერდით მამაკაცი გატრუნულა. იგი, ეტყობა, შეზარხოშებულია და ცდილობს არ შეიმჩნიოს, ხანდახან ბიჭს გადახედავს და თვალს ჩაუკრავს. ნურას უკაცრავად: ბიჭუნა გაბუტული ზის და შიგადაშიგ მოწყალედ თუ შეაჩერდება შეზარხოშებულს.

– თქვენია? – კითხულობს კაცი.

– დიახ.

– ღმერთმა გაგიზარდოთ... რამდენი გყავთ?...

– ჯერჯერობით – ეს, – მორცხვად ეღიმება ქალს.

– რა ჰქვია?

– საბა.

მამაკაცს სიხარული და გაკვირვება ერთად უთამაშებს სახეზე.

– ყოჩაღ... ვინ მოინდომა ამ სახელის დარქმევა?!

– მეუღლემ.

– თქვენს კარგ მეუღლეს გადაეცით, სულხან-საბა ორბელიანის სამშობლო – ტანძია მოატაროს პატარა საბას. იცით, რა ლამაზია შემოდგომის პირზე ტანძია?... ერთი, თუ ძმა ხარ, მანდ შეაჩერე, – მძღოლს მიმართავს კაცი, მერე დედა-შვილს ემშვიდობება, საბას მგზავრობის და გაცნობის ფული გადახდილიაო, უბარებს დედას, მოფერებით, ნაზად ჩქმეტს ლოყაზე ბიჭს, გაისად ამ დროს, სულხანთან ერთად შემხვედროდეთო, და „მარშრუტკიდან" კმაყოფილი ჩადის.

**ვილენ მარდალეიშვილი**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8283 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3229 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8426 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.0609 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0238 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2963 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3390 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2114 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7202 ლარი |



**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

– მართალია, რომ კარგი ლუდი ოთახის ტემპერატურაზე ორ თვეს ძლებს?

– ტყუილია, ჩვენ ვცადეთ, ერთი დღეც ვერ გაძლო!

* * *

ორი მეგობარი საუბრობს:

– სულ ვოცნებობდი, დიდი მანქანის საჭესთან ვმჯდარიყავი და ჯიბეები ფულით მქონოდა სავსე!

– მერე რა მოხდა, აგიხდა ოცნება?

– ნაწილობრივ, სარეისო ავტობუსის მძღოლად ვმუშაობ!

* * *

ბიზნესმენმა მიიღო რაღაც გადასახადის ანგარიში. ვერ გაერკვა ციფრებში და მდივან ქალს დაუძახა:



– მარინა, აბა მითხარი, ვთქვათ მოგეცი 1000 დოლარი დღგ-ს გამოკლებით, რის მოცილება შეგიძლია აქედან.

– ყველაფრის, საყურეების გარდა!

* * *

ბებერი ხარი უხსნის ახალგაზრდას.

– დაიხსომე. თუ გვერდზე დამღა არა აქვს, ის ხბოა, თუ კი აქვს დამღა, მაშინ დეკეულია.

ახალგაზრდა ეკითხება:

– მაგრამ თუ დამღის დასასმელი ადგილი არა აქვს!

– ის ჩვენი მწველავი ნადიაა!

* * *

– ჯიბეში მუდამ მაქვს ქაღალდი მისამართით, როცა მთვრალი ვარ, შინ მიმიყვანონ.

– აბა, მაჩვენე, კი მაგრამ აქ რომ წერია – პარიზი, მონმარტის ბულვარი. შენ კი ქუთაისში ცხოვრობ?

– ერთი-ორჯერ მართლა პარიზში მოვხვდი!

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.